



სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში ჩოხატაურში სამართო კრებები და კონსულტაციები დასრულდა



სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დასახლების საერთო კრებები და კონსულტაციები დასრულდა. აღნიშნული პროგრამისთვის საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ჩოხატაურის მუნიციპალიტეტისთვის 730 000 ლარია გამოყოფილი. თითოეულ სოფელში მოსა-

ხლეობა თავად წვევს, რომელი პროექტი დაფინანსდეს. ბოლო შეხვედრა ზოტის ადმინისტრაციულ ერთეულში გაიმართა, რომელსაც ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერი დავით შარაშიძე ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად ესწრებოდა.

ა ლ ი რ ნ ი

გურია

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის
1931 წლის 5 იანვრიდან

ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ე - პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი გ ა ზ ე თ ი .
ყოველკვირეული გამოშვება. № 5 (10491) 31 მარტი, 2025 წ. ფასი 1 ლარი.

„არ ეგონა თუკი სკოლას ასეთი სიბლი ექნებოდა“

წლის საუკეთესო დირექტორის ჯილდო არჩილ ჩხაიძეს გადაეცა - თბილისის 103 საჯარო სკოლის წარმომადგენელთა საერთაშორისო საგანმანათლებლო სამიტზე



თბილისის №103 საჯარო სკოლის დირექტორი არჩილ ჩხაიძე საერთაშორისო საგანმანათლებლო ორგანიზაციის AKS Education Awards მიწვევით, იმყოფებოდა დუბაიში გამართულ სამიტზე Global Education Awards Dubai, სადაც მონაწილეობდა მსოფლიოს 11 ქვეყნის 100-ზე მეტი დელეგატი.

თბილისის №103 საჯარო სკოლას ნომინაციაში, როგორც გამორჩეული სკოლა სასწავლო წარმატებებში, ხოლო ხელმძღვანელს –**არჩილ ჩხაიძეს**, წლის საუკეთესო სკოლის დირექტორის ჯილდო და შესაბამისი სერტიფიკატი გადაეცა.

„წარმატებული გამოსვლის სურვილი დიდი იყო, თუმცა პირველობის მოლოდინი არ გვექონია. მატყინი-

ერებს ის ფაქტი, რომ ჩვენი სკოლის მიერ გავზავნილი დოკუმენტებიდან გამოვდინარე, პირველობა მოვიპოვეთ.. უნდა გამოვიტყდეთ, ეს დიდი პასუხისმგებლობაა, მეტი ვალდებულების წინაშე გვაყენებს და ის აუცილებლად აისახება სკოლის წარმატებულ საქმიანობაში“ – აღნიშნა დავიდლოების შემდეგ არჩილ ჩხაიძემ.

არჩილ ჩხაიძე ოზურგეთელია. პედაგოგიური მოღვაწეობაც ჩვენს მუნიციპალიტეტში დაიწყო. იგი გაზეთ „ალიონთან“ მის მიერ განვლილ ცხოვრების გზაზე საუბრობს:

– როდესაც უმაღლესი სასწავლებელი დავამთავრე და მათემატიკის პედაგოგის

„ჩვენ მშრომლობთ ბავშვებზე, არ ბავშვსაქაროთ ბავშვებზე უნდა ვინაობა“. ვნებათა დღეა პროექტ „მწვანე გურიას“ ირგვლივ



ალიონი. 27 მარტს ოზურგეთის ტექნოპარკში ევროკავშირის მხარდაჭერით მიმდინარე პროექტის „მწვანე გურია – ადგილობრივი დემოკრატიისა და სოფლის განვითარების მხარდაჭერა ინკლუზიური და მდგრადი მწვანე ზრდისათვის“, ფარგლებში CEN, პარტნიორ ორგანიზაციებთან – ასაგზარდა პედაგოგთა კავშირთან, დემოკრატიის ინსტიტუტთან და ქედის ადგილობრივ სამოქმედო ჯგუფთან ერთად, პროექტის შუალედური შედეგებისა და დაგეგმილი სამუშაოების გაცნობითი შეხვედრა გაიმართა.

აღნიშნულ შეხვედრას ესწრებოდნენ CENN-ის ლავის მმართველი საბჭოს წევრები (ნაწილი), ლავის წევრები, პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

CENN-ის გარემოსდაცვითი პროექტების მენეჯერმა ნინო გაფრინდაშვილმა ისაუბრა საგრა-



ნტო კონკურსის ფარგლებში დაფინანსებული პროექტების და მათი მიმართულებების შესახებ.

როგორც ნინო გაფრინდაშვილმა განაცხადა, 25 პროექტი დაფინანსდა ოზურგეთის, 13 პროექტი – ლანჩხუთის; 12 პროექტი – ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში.

CENN-ისა და Institute of Spatial Planning-ის ორგანიზებით, ოზურგეთის, ჩოხატაურისა და ლანჩხუთის ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფის (LAG) შერჩეული წევრები 2-ჯერ სთუდლიანი სასწავლო ვიზიტით ავსტრიაში იმყოფებოდნენ. მისი თქმით, ევროპული სოფლის განვითარების მიდგომების დანერგვა ხდება გურიაში.

ნინო გაფრინდაშვილმა განაცხადა, რომ საგრანტო კონკურსში გამარჯვებული ვინაობა არ იქნებოდა წარმოდგენილი ამ შეხვედრაზე, ვინაიდან ევროკავშირის მოთხოვნით პერსონალური მონაცემების გასაჯაროების უფლება

მათ არ ჰქონდათ.

მისი თქმით, ოზურგეთში შევიდა 190 განაცხადი, საიდანაც მეთრე ეტაზე 79 განცხადება გადავიდა, მონიტორინგის ეტაპი 50 განცხადებამ გაიარა, ხოლო ხელშეკრულება გაფორმდა 25 ბენეფიციართან. ევროკავშირი მათ 1,071,864 ლარს დაუფინანსებს, ხოლო გამარჯვებულების წილობრივი მონაწილეობა 516,821 ლარი ექნება.

მანვე მცირე საგრანტო კონკურსებზეც ისაუბრა. იდეათონში –9 გამარჯვებული გამოავლინეს, რომლებსაც, თითოეულს 1000 ლოლარი გადაეცა. ასევე სათემო ინიციატივებისათვის განხორციელებისათვის მცირე ზომის კონკურსებს განახორციელებენ.

შეხვედრაზე სიტყვა თხოვა აღნიშნული საგრანტო პროექტის მონაწილემ, ტურისტული სახლის „სამწევრას“ დამფუძნებელმა მარინა ჩხლაძემ. მან განაცხადა, რომ

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 150 ლარია;
– მე-3-7 (თითოეული 810 კვ.სმ) მთლიანი გვერდებისა – 200-200 ლარი;
– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 400 ლარია;
– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 400 ლარი ღირს;
– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 70 ლარით იზრდება.
– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;
– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 30 ლარი;
– სამელოვიარო განცხადება - სიტყვა 30 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;
– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საცალო ფასი: 80 თეთრი,
ხელმოწერა:
ერთი თვით – 3,20 ლარი,
სამი თვით – 9,60 ლარი,
6 თვით – 16 ლარი,
ერთი წლით – 32 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს. ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე. რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარეკლამო კოლეგია

რედაქტორი

ნუგზარ ასათიანი

nugzarasatiani15@gmail.

com

558 499100

კომპიუტერული უზრუნველყოფა

გიორგი გოგოლაძე

gia_77@mail.ru

551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი,

გაბრიელ ეპისკოპოსის ქ. №3

ტელ: 558 499 100 გაზეთი

რეგისტრირებულია

ოზურგეთის რაიონულ

სასამართლოში 18. 11. 2004

№44/4-311

გაზეთი იბეჭდება გამოცემლობა

„მერიდიანში“

მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაიწყეთ ყოველი
ოქმზაბათი აღიონზე

«აღიონით»

გურიაში დიდთოვლობის შედეგად შესაბამისი კომისია ჩამოყალიბდა შესაბამისი კომისია ჩამოყალიბდა

გურიაში დიდთოვლობის შედეგად გამოწვეულ ზარალს შესაბამისი კომისია რეგიონის მასშტაბით სწავლობს. ზარალის შემსწავლელი სპეციალური კომისიის შემადგენლობაში სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის, მუნიციპალიტეტებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს წარ-

მომადგენლები არიან.

პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით, სახელმწიფო მოახდენს ყველა დაზიანებული სახლის აღდგენას, ხოლო ის ოჯახები, რომელთა სახლები არ ექვემდებარებიან რეაბილიტაციას, უზრუნველყოფილები იქნებიან ალტერნატიული საცხოვრისით.



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში, სამოქალაქო უსაფრთხოების მიმართულებით სწავლება ჩატარდა

შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურმა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში, სამოქალაქო უსაფრთხოების მიმართულებით სწავლება ჩატარა.

სწავლების მიზანს, სამოქალაქო უსაფრთხოების საკითხებზე, მუნიციპალიტეტის თანამშრომლების ცნობიერების ამაღლება, მუნიციპალური საგანგებო მართვის გეგმის შექმნა, განხილვა და შესაბამისი რეკომენდაციების გაცემა წარმოადგენდა.

სწავლების პროცესში, მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად, ჩართულები იყვნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი დანაყოფები და ადგილობრივი მოხალისეები.

აღნიშნულის ფარგლებში, ადგილობრივი თვითმმართველობის წევრების-



თვის და მოსახლეობისთვის, სახანძრო-სამაშველო სპეციალური ტექნიკისა და აღჭურვილობის გამოყენა მოეწყო, რომელიც ლანჩხუთის მერმა ალექსანდრე სარიშვილმა, მოადგილე თორნიკე ტიკაძემ და საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ დაათვალიერეს.

სხდომაზე, დღის წესრიგით გათვალისწინებულ 13 საკითხზე იმსჯელეს.



ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა გაიმართა, რომელსაც საკრებულოს თავმჯდომარე დავით დარჩია უძღვებოდა.

სხდომაზე, დღის წესრიგით გათვალისწინებულ 13 საკითხზე იმსჯელეს.

საკრებულოს გადაწყვეტილებით დამტკიცდა შემდეგი განკარგულების პროექტი: „მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის II კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების

შესახებ.“

აგრეთვე, საკრებულომ მოისმინა და ცნობად მიიღო ინფორმაცია მუნიციპალიტეტში დიდთოვლობით გამოწვეული ზარალისა და მისი სალიკვიდაციო სამუშაოების შესახებ. ასევე, ცნობად იქნა მიღებული საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიების თავმჯდომარეებისა და მერიის სტრუქტურული ერთეულების მიერ 2024 წელს განხორციელებული საქმიანობის შესახებ ანგარიშები.

გურიის პოლიცია განსაკუთრებით დიდი ოღონით ნარკოტიკი ამოიღო

შინაგან საქმეთა სამინისტროს გურიის პოლიციის დეპარტამენტის ოზურგეთის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებების არაერთგზის, უკანონო შეძენა-შენახვა, დამზადების ბრალდებით, 1978 წელს დაბადებული დ.ხ. და წარსულში ნასამართლევი 1980 წელს დაბადებული თ.ხ. დააკავეს.

დანაშაული 8-დან 20 წლამდე ან უფრო დიდ ვადის ვალდებულებას ითვალისწინებს.

სამართალდამცველებმა ნარკოდან-აშუალის ბრალდებით დაკავებული პირების პირადი და საცხოვრებელი სახლის ჩხრეკის შედეგად ნარკოტიკული საშუალებები „მეთადონი“



„ალფა-პეპ“ და „კლუვედრონი“ ნივთ-მტკიცებად ამოიღეს.

საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, პოლიციის მიერ ნივთმტკიცებად ამოღებულია, პოლიეთილენის პაკეტები, წებოვანი ლენტები და ელექტრო სასწორო.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლით მიმდინარეობს.

ბახვი ჰესის მრეწველთა საბჭო, რომორც პლიმერი ინსტიტუტის მუშაულობის უნიკალური გამოცდილება



ბახვი ჰესის მრეწველთა საბჭო 2021 წლის 5 აგვისტოს ექვთიმე თაყაიშვილის სახლმუზეუმში დაფუძნდა. საბჭოს შექმნის მიზანი განახლებადი ენერგიის პროექტის, ბახვი ჰესის მშენებლობის გამჭვირვალე და დანტრეფიებული მხარეების მაქსიმალური ჩართულობის უზრუნველყოფით განვითარება იყო. იდეა კი, ერთიანი ძალებით (კომპანია და დანტრეფიებული მხარეები) ძლიერი ინსტიტუტის მშენებლობის უპრეცედენტო ინიციატივას ემსახურებოდა.

დავით კობერიძე, ბახვი ჰესის გარემოსდაცვისა და სოციალური პროექტების მენეჯერი:

„მეოთხე წელია რაც მრეწველთა საბჭოს ფორმატში აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა ბახვი ჰესის პროექტზე და წელს უკვე, თამაშად შეგვიძლია ვთქვათ, რომ მუშაობის ამ მოდელმა გაამართლა. საბჭოს ფორმატში გამჭვირვალობისა და ჩართულობის მექანიზმების გამოყენებით მოხდა ხედვების დაახლოება, პროექტის გარემოსდაცვით და სოციალურ პროგრამ-

ბაზე მუშაობა, მისი მონიტორინგი და იმ წერტილამდე განვითარება, როცა ჩართულ მხარეებს (კომპანია და დანტრეფიებული მხარეები) თავისუფლად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენ ერთად ვაშენებთ პროექტს, რომელიც ევროპული სტანდარტებითა და ხარისხით უპრეცედენტო იქნება ქვეყნის მასშტაბით.“

2021 წელს, მაშინ როცა საბჭოს ჩამოყალიბების იდეა გაჩნდა, ბახვი ჰესის გარემოსდაცვისა და სოციალური პროექტების მენეჯერის პოზიციას დავით მიქელაძე იკავებდა. სწორედ მისი და ბახვი ჰესის მაშინ, ჯერ კიდევ, მცირერიცხოვანი გუნდის მენეჯმენტის ქვეშ განხორციელდა მრეწველთა საბჭოს პროექტი.

დავით მიქელაძე, ბახვი ჰესის გარემოსდაცვისა და სოციალური პროექტების ყოფილი მენეჯერი:

„მრეწველთა საბჭოს შექმნით ბახვი ჰესის პროექტმა ქართულ რეალობაში შექმნა დადებითი პრეცედენტი მცირე და საშუალო ზომის ჰესების პროექტების განვითარების პროცესში, როცა სამართლებრივი და სახელისუფლო ორგანოების მხრიდან აუცილებელი ნებართვების გარდა, კომპანიამ გადაწყვიტა

პროექტის საწყის ეტაპზევე მოეპოვებინა ე.წ. „სოციალური ლიცენზია“, რაც უზრუნველყოფდა ყველა დანტრეფიებული მხარის მაქსიმალურ ჩართულობას პროექტის დაგეგმვისა და განხორციელების თითოეულ ეტაპზე. სწორედ ამიტომ, მრეწველთა საბჭოში მოეწყოთ ადგილობრივი საზოგადოების შემაჯენელი, ფაქტობრივად, ყველა ჯგუფი, იქნებოდა ეს ადგილობრივი თვითმმართველობა, მედია, სამოქალაქო საზოგადოება თუ სამეწარმეო სექტორი. შესაბამისად, მრეწველთა საბჭოს სახით შეიქმნა დამოუკიდებელი,

გამჭვირვალე და დაბალანსებული პლატფორმა, სადაც საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის წარმომადგენლებს შეეძლოთ მოესმინათ პროექტის შესახებ სრულყოფილი ინფორმაცია, გამოეთქვათ საკუთარი და საზოგადოების იმ ნაწილის, რომელსაც წარმოადგენდნენ, მოსაზრებები, გაეუფლებინათ კრიტიკული შენიშვნები და სასარგებლო რჩევები. მრეწველთა საბჭოგახდა ძალზედ მნიშვნელოვანი დამაკავშირებელი რგოლი პროექტის გან-

„არ მემონა თუკი სკოლას ასეთი სიბლი მენებოდა“



პროფესორი მომენიჭა, მაშინაც კი არ მიფერია სკოლაზე, მასწავლებლობასა და მითუმეტეს სკოლის დირექტორობაზე, მაგრამ საბჭოთა ჯარში მსახურებიდან თავის დაღწევის მიზნით 1978 წელს, ღრ-ოებით, 27 წლის ასაკამდე (27 წლის ზემოთ ჯარში არ იწვევდნენ) „თავი შევადარე“ სოფლის სკოლას (სოფლის სკოლის პედაგოგი თავისუფლებოდა ჯარში მსახურებიდან).

1978 წელს მუშაობა დაიწყო მაღალმთიან სოფელ მთისპირის 8-წლიან სკოლაში მათემატიკის მასწავლებლად.

ამ ლამაზ და ტრადიციულ სოფ-

ლიდან ბევრი კარგი მოგონება დამრჩა. არ მემონა სკოლას თუ ასეთი საოცარი ხიბლი ექნებოდა. თუ საკლასო ოთახში შეხვიდოდი, მოსწავლეთა გაცისკროვნებულ თვალებს დაინახავდი, შეგეყვარებდა მოსწავლე და თავადაც შეიფარებდი, მათ ვერასოდეს მიატოვებდი. ასე მოხდა ჩემს შემთხვევაშიც. მალე 47 წელი გახდება, რაც სკოლაში ვარ, 43 წელი გავიდა, რაც სკოლას გზე-ლმძღვანელობ. გუშინდელი დღესავით მასწავლებ ჩემი პირველი ნაბიჯები დაკავშირებული სკოლასთან, მოსწავლეებთან, არადა ყველაფერი უკვე წარსულია, არ ვნანობ, ცხოვრების

ხელახლა დაწყება რომ შეიძლებოდა, ალბათ სიამოვნებით გავევლიდი იგივე გზას...ეს ჩემი ცხოვრება..

მთისპირის შემდეგ შემდეგ სამი წელი ქვედა ბაზის ასევე რვაწლიან სკოლაში ვიმუშავე მათემატიკის პედაგოგად და დირექტორის მოადგილედ. 1982 წლის შემოდგომაზე სოფელ ჯუმათის საშუალო სკოლის დირექტორად დამნიშნეს, სადაც 3 წელი ვიმუშავე. გადამიყვანეს ოზურგეთის განათლების განყოფილებაში მეთოდისტად, შემდეგ – ლაითურის საშუალო სკოლის დირექტორად.

ალბათ ვახსოვთ, 1985 წელს იმჟამინდელმა ცენტრალურმა მთავრობამ მიიღო დადგენილება სასურსათო პროგრამის განხორციელების ფარგლებში სასკოლო მურუნების შექმნის შესახებ. ლაითური გახლდათ ერთ-ერთი მოწინავე სკოლა საქართველოში სამი სკოლიდან (გორში, სოფ. ძევერა, საგარეჯოში, სოფ. მანავი) რომელმაც ასეთი მურუნობა შექმნა.

ლაითურის სკოლაში 7 წელი ვიმუშავე. შემდეგ ერთი წელი მშობლიურ სოფელ მახარადის საშუალო სკოლაში გადმოვედი ამავე თანამდებობაზე.

– თქვენ ტვ. „გურიაშიც“ მუშაობდით..

–ტელეკომპანია „გურიაში“ დირექტორის მოადგილის პოსტზე 5 წელი ვიმუშავე. ბევრი მეგობარი შევიძინე ჟურნალისტებს შორის, მაგრამ საბოლოოდ სკოლა ვერ დავტოვე. 1998 წელს ქ. თბილისში მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტში დაიწყო მუშაობა სკოლათმცოდნეობის განყოფილების გამგედ. შემდეგ 6 წელი თბილისის №46 საჯარო სკოლის დირექტორად ვიმუშავე. ვიყავი თბილისის №107 და №182-ე სკოლების დირექტორი. 10 წელია თბილისის №103 სკოლას ვხელმძღვანელობ..

26 წლის გავხდი სკოლის დირექტორი, 43 წლის წინათ დავინიშნე სკოლაში დირექტორად და ეხლა მე-7 სკოლაა სადაც ამ თანამდებობაზე ვმუშაობ.

ჩემი ყოფილი მოსწავლეებიდან 7 მასწავლებელი და 3 სკოლის დირექტორია. ასევე ჩემი ყოფილი მოსწავლე ამჟამად ჩემი სკოლის პედაგოგია. ჩემი სკოლის მოსწავლეა ჩემი ყოფილი მოსწავლის შვილიშვილიც.

– არჩილ, საერთაშორისო საგანმანათლებლო ორგანიზაციის AKS Education Amards შესახებ გვიამბო:

– AKS Education Awards (ხელმძღვანელი დინეშ კამრა ინდოეთი) – საერთაშორისო საგანმანათლებლო ორგანიზაციაა,

რომელშიც 65 ქვეყნიდან 1486 განათლების სფეროს წარმომადგენლებაა გაერთიანებული. ორგანიზაციის მთავარი მიზანია იმ პროფესიონალების აღიარება, რომლებიც უზრუნველყოფენ პროგრესს განათლების სფეროში. მათი მისიაა პროფესიონალობა მოტივაციის ამაღლება, ინოვაციური მიდგომების ხელშეწყობა და გლობალური საგანმანათლებლო ქსელის ჩამოყალიბება. მათ მიერ სხვადასხვა ქვეყნებში გამართულ სამიტებზე ყოველწლიურად გამოავლენენ და ასახელებენ მსოფლიოს საუკეთესო მასწავლებლებს, სკოლის დირექტორებსა და საგანმანათლებლო დაწესებულებებს.

რამდენიმე დღის წინ კი სკოლას სტუმრობდნენ საქართველოში გამართულ განათლების სამიტის მონაწილე ქვეყნების EdTrips საერთაშორისო საგანმანათლებლო ლიდერები. №103 სკოლამ წარმოაჩინა თავისი მიღწევები როგორც ფორმალურ, ასევე არაფორმალურ განათლების მიმართულებით. ასეთი შეხვედრები ხელს უწყობს ცოდნის გაზიარებას, ინოვაციური მიდგომების განვითარებას და კულტურათაშორის დიალოგის გაღრმავებას.

წარმატებებს გისურვებთ ბატონო არჩილ!

ნუზუზარ ასათიანი

„ჩვენ მშრომავი ბავალები უნდა, არ ბავსაჯაროთ ბავარჯებულთა პინაობა“ : პეპატა დელვა პროექტ „მშენებელი გურიას“ ირგვლივ

პროექტის დაფინანსებას შესაძლებელს გახდოდა. ასევე, მისივე თქმით, ათეულ ათასობით ღირებულების ზოგი პროექტიდან, რომელიც დაფინანსეს, დაწყებული კი არ არის სამუშაოები.

მარინა ჩიხლაძე ვრცლად ისაუბრა ლავის საარჩევნო პროცესზე და თქვა, რომ ის საარჩევნო ნორმების დარღვევით ჩატარდა. ასევე თქვა, რომ პროექტის ხელმძღვანელებმა შეცვალეს თითქმის ყველა დათქმა, რაც თავდაპირველად განაცხადეს. მაგალითად, მან განაცხადა, რომ თავიდან ნათქვამი ჰქონდათ, კონკურსში მონაწილეობას ვერ მიიღებდნენ ლავის მმართველი საბჭოს წევრები. განმარტა ისიც, რომ აკრძალა არავისთვისა კარგი, მაგრამ კვლავ რომ დაწესებულიყო ამ კუთხით, სხვა ელფერი მიეცეოდა და ევტს არ გამოიწვევდა. ჩიხლაძე ასევე თქვა, რომ თავიდან განაცხადეს, ვინც მონაწილეობას მიიღებდა საგრანტო კონკურსში, უნდა ჰქონოდა მოქმედი ბიზნისი, გამორჩეული უნდა ყოფილიყო მაღალი აქტიურობით და ასე შემდეგ. 2024 წლის დეკემბერში კი უნდა დასრულებულიყო ყველა პროექტი, რის დარღვევის შემთხვევაში გატარდებოდა ღონისძიებები.

–რა მიდგომა, როცა 20 ათასი ლარის ფარგლებში წარდგენილი პროექტის ავტორს კონკრეტულად მამოფებთ 100 ათასიანი პროექტის წარმდგომთან? ვინ ადგენს ამ ნორმებს? ცოტა სარკასტულად რომ ვიკითხო, კულაკებს აყლიბენ?- ეს და კიდევ მრავალი კითხვა დასვა მან.

მარინა ჩიხლაძე ასევე მოითხოვა იმ 25 გამარჯვებული პროექტის ავტორისა და შესაბამისად, საგრანტო თანხის რაოდენობის გასაჯაროება, რაზეც პროექტის მენეჯერისაგან უარი მიიღო:

– ჩვენ ვეროკავშირი გვაქვს ბულებს, რომ არ გავასაჯაროოთ გამარჯვებულთა ვინაობა, რადგან ეს არის პერსონალი მონაცემები – თქვა ნინო გაფრინდაშვილმა.

„-მე ვფიქრობ, რომ სიცრუეა, როცა გაფრინდაშვილი ამბობს, რომ გამარჯვებუ-

ლი პროექტების ავტორების გასაჯაროება არ შეიძლება. პირიქით, მე რაც გამოვლინა და წამკითხავს, ვეროკავშირი ითხოვს სრულ გამჭვირვალობას. ყოველ შემთხვევაში, თუ პერსონალური მონაცემების გამოქვეყნებისგან თავის შეკავება ვინმემ ურჩია მათ დონორი ქვეყნებიდან, შეუძლია, ეკითხათ გამარჯვებული პროექტების ავტორებისთვის, იყენებენ თუ არა თანხას ამ ინფორმაციის გასაჯაროების და გამოქვეყნებისათვის. ან რის ემზინათ? ზომ ამბობენ, რომ ყველაფერი ნორმების დაცვით მოხდა. თუ ჩვენ ვეროკავშირი განვითარებისთვის გვეხმარება, თავკომალასავით, უმეტესად ძალიან დიდ გრანტებს უნდა ვასცემდეს? თანამონაწილეობის თანხა თუ 20-30 ათასი ლარი ბეჭება, რად მინდა გრანტი? ეს ყველაფერი ურთიერთ შეთანხმებით უნდა მოხდეს და ისე მოვიდეს ჩვენამდე – თავდაუზოგავად მშობელ ადამიანამდე. როცა კითხვებს ვსვამ და ლავის წევრი კითხვით ვურადღებებს, ვიღაც მტყუარება დარბაზიდან გაფრინდა – ამის უფლებასაც აძლევენ თავს. მათ, სულ ცოტა, უნდა იცოდნენ, რომ მე ამომრჩეული ვარ, არსად წასვლას არ ვაპირებ და მუდამ იქნება ჩემი კითხვების ნაკადი. მით უფრო, როცა ამის საფუძველს თავად მაძლევენ. „მწკნე გურიას“ მათი კარგად შეფუთული რეკლამა ვერ გახდის პოპულარულს. ის კონკრეტული „სასტყვის“ პროექტია და როგორც გურიის, ასევე ამ მოქმედებში ოზურგეთის მოსახლეობის თითქმის 90%-მა(ყველაზე კარგი ვარიანტი) არაფერი არ იცის მის შესახებ! არადა, რეგიონის განვითარების სტრატეგიული გეგმა ჰქვია! ასევე, არ მომხდარა, რომ თუნდაც ერთხელ დაცდილიყო, რომ ცოტათი მაინც შეეშალათ ან მცირე გადაცდილობა მოევიდათ. აქეთ კი ყველა კითხვის პასუხად გაძტყუებენ. აქეთ საოცარი გონირობა, რომ ყველაფერს ზუსტად აკეთებენ. ამიტომ ვაპირებ ბრძოლას ამ ყველაფრის უფრო მეტად გასაჯაროებისთვის. აუცილებლად შევხვდები CENN-ის ხელმძღვანელებს. წარმოუდგენელია, რეგიონში ასეთი გასაღებლო-



ბულ ქმედებებთან შეგუება. მით უფრო, ახლა ლავი უკვე დამოუკიდებელ ა(ა)იპ ორგანიზაციად დარეგისტრირდა. და რას ველოდით, ისევ სათავეს ვამოყენებდით უპირატეს მდომარეობას მგანი მომავალ საგრანტო კონკურსებში? სასაცილო კი ის არის, რომ ლავის თავმჯდომარე, კილუბაძე, კიდევ უამრავი ორგანიზაციის თავმჯდომარეა და საგრანტო კონკურსის პროცესის, როგორც მის ნათქვამში გამოიკვეთა, დიდ არაფერი არ იცის...აბა, რას გეპირდებოდნენ, ლავის მმართველი საბჭო თქვენი დამხმარე, გამკლავი და მხარდამხმარი იქნება? მე ვსვამ საკვით კითხვებს, ესენი კიდევ, რომ გამაჩუმონ, მიცხადებენ, რომ ბრალდებებს ვუყენებ... მგინი, პროკურორიც გამხადეს. კიდევ ერთხელ ვამბობ, არ შეგეგუებოდა ასეთ მოცემულობას და მუდამ დავსვამ კითხვებს,– განაცხადა გაზეთ „ალიონ-თან“ საუბარში მარინა ჩიხლაძე.

„გურიის სამოქალაქო ცენტრის“ გუნდის წევრმა 2020 წლიდან, ორგანიზაციის გამგეობის წევრმა კიკა კილუბაძე განაცხადა, რომ ლავის მმართველი საბჭოს წევრები არ მონაწილეობდნენ საგრანტო კონკურსის შეფასების პროცესში, ამდენად

ვერ უპასუხებს ჩიხლაძის ბრალდებებს, ზოლი ნინო გაფრინდაშვილმა კი თქვა, რომ გრანტი არ არის ჰუმანიტარული დამხმარება (!).

შეხვედრაზე სიტყვით გამოვიდა წარმატებული მეწარმე, ლავის მმართველი საბჭოს წევრი დავით თენიშვილი, რომელმაც განაცხადა, რომ მან მიიღო საგრანტო დაფინანსება, მაგრამ მოლიანად მოცილებული იყო კონკურსის ყველა შეფასება.

დავით თენიშვილის გამოსვლის შემდეგ ნინო გაფრინდაშვილმა განაცხადა, რომ იგი შესთავაზებს გრანტის მიმღებ ორგანიზაციებს, რომ მათი თანხმობის შემთხვევაში, წარსდგნენ ლავის წევრების და საზოგადოების წინაშე.

გასაჯაროვდება თუ არა ვინ გაიმარჯვა საგრანტო კონკურსში და წარდგებიან თუ არა ისინი საზოგადოების წინაშე, ამას მომავალი გვიჩვენებს.

გაცნობითი შეხვედრები ჩიხლაძის და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტებშიც გაიმართა.

ამად მდგარი –ამაგლარი

მორცხვი, გაუბედავი, თბილი, ტკბილ-მოუბარი, ასე შემოაბიჯა ვენერა გოლიაძე, უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ შემოქმედის საშუალო სკოლაში, რომელმაც იგი აღზარდა. მოვიდა და ღირსეულად ამოუდგა გვერდით აღმზრდელ კოლეგებს, ურთულეს და ამავე დროს უკეთილშობილეს საქმეში, რომელსაც ის განსაკუთრებული სითბოთი და მისთვის ჩვეული ტაქტით აკეთებდა. ღირსეულად აღზრდილი სამაგალითი აღმზრდელი გახდა, რითაც კოლეგებისა და აღსაზრდელების სიყვარული და პატივისცემა დამსასურა.

ერთი საგაზეთო სტატია კი არა, გაზეთის ერთი ფორმატიც ვერ დაიტევს აღზრდილთა წესსა და საქმიანობას.

ამაგლარი აღმზრდელების სიყვარულმა და პატივისცემამ გაგვაბედინა თავი



შეგვეხსენებინა მისი ერთ-ერთი სადამრიგებლო კლასის 80 წელს გადაცდილებულ მოსწავლეებს: თინიკო საბაშვილი, ვარდო კვარაცხელია, სულიკო ღუმუბაძე, იური თოდრაძე, გივი გიორგაძე.

ახლა ორ 9-იანს გილოცავთ, მომავალ 27 მარტს კი საუკუნეს მოგილოცავთ საუკეთესო სამომავლო სურვილებით უფრო დიდი მასშტაბითა და ღირსებით. კვლავ ღიღანს ემსახურეთ შვილებსა და მათ ნამრავლს.

ამდ დგას ფეხზე ამაგლარი ადამიანი. მეამყება, რომ ასეთი დიდებული პედაგოგის გვერდით მომხილა მუშაობა.

ღრმ პატივისცემით და დიდი

სიყვარულით

გივი გიორგაძე

მღვდელი ნესტორ კონტრიძე



სიმღერა-გალობა გურიაში ძირითადად საყოფაცხოვრებო წეს-ჩვეულებასთან იყო დაკავშირებული, ამიტომ დღესასწაული, ქორწილი, შრომის პროცესი უსიმღეროდ არ ჩაივლიდა.

გალობა კი სულის საოხი, სულის „საცხონებელი“ იყო. გურიაში საეკლესიო გალობის ბრწყინვალე მცოდნე იყვნენ: ლიხაურის ღვთისმშობლის შობის ეკლესიის წინამძღვარი **ნესტორ კონტრიძე** და **მელქისედეკ ნაკაშიძე**, წლების მანძილზე ამ ორი მგალობელის გუნდს ალტაცებაში მოყავდა მსმენელი.

ნესტორ კონტრიძე დაიბადა 1854 წელს სოფელ ჭანიეთში, სოფლის მღვდლის ეგნატე კონტრიძისა და ეფემია ინწირველის ოჯახში, სადაც ოთხი შვილი იზრდებოდა: სვიმონი, ნესტორი, ანტონი და უმცროსი და ელენე, რომელიც შემდგომში მონაზვნად აღიკვეცა.

ნესტორს სიყრმიდანვე მიმადლებული ჰქონდა კეთილშენობა და კაცობრივად ბუნება, განსაკუთრებით გამოყოფენ მის არაჩვეულებრივ მუსიკალურ სმენას და ძლიერ ხმას. ამ თვისებათა გამო ჭაბუკი ნესტორი იმ ყმაწვილთა შორის აღმოჩნდა, რომელიც ათონის წმინდა მთის ქართველთა საგანის წინამძღვარმა ილუმენმა ბენედიქტემ (ბარკალაია) საბერძნეთში გასამგზავრებლად შეარჩია.

XIX საუკუნის პირველ ნახევარში ბერძენი ბერებისაგან შევიწროებული ქართველები საბოლოოდ გამოიღვენენ ივერთა მონასტრიდან, რის გამოც ათონის მთაზე ჩასულმა მამა ბენედიქტემ გადაწყვიტა, ივერონის მახლობლად განეახლებინა ივერონის საგანე, სწორედ ამისთვის მან ღირსეულ დონეზე დააყენა ძველი ქართული გალობის შესწავლის საქმე, სრული მგალობლის ანტონ ღუმბადის ხელმძღვანელობით, ნესტორ კონტრიძესთან ერთად არა ერთმა ნიჭიერმა ყმაწვილმა შეისწავლა ძველი ქართული რვათა გალობა, ამასთან ერთად, მან ათონის ქართველ მოღვაწეთა უშუალო მაგალითზე შეისისლხორცა ბერმონაზნული ცხოვრების წესი და განიხილა. როდესაც საქართველოში, ალექსანდრე და გაბრიელ ეპისკოპოსთა მიერ ქართული გალობის გადარჩენის საკითხი აღიძრა, ათონის ქართველთა საგანიდან გამოწვეული იქნენ თავადი მელქისედეკ ნაკაშიძე და ნესტორ კონტრიძე, როგორც ძველი ქართულ კილოთა ზედმიწევნით მცოდნენი. თბილისში ჩამოსვლისთანავე ისინი აქტიურ საქმიანობას შეუდგნენ.

1878 წლის 2 სექტემბერს ანტონ კონტრიძემ ანხისხატის ტაძარში ივა-

ლობა, მეორე დღეს კი ორბელიანთა წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში. გალობის აღმდგენელმა კომისიამ გურული მგალობლები თბილისში დატოვა, გასამრჯელო დაუნიშნა და საცხოვრებელიც გამოუყო.

1878 -1882 წლებში ნესტორ კონტრიძე თბილისის ტაძრის მეღვთისმეტყველებს ამზადებდა, სწორედ ამ პერიოდში გაიცნო მან ქართული საერო და სასულიერო მუსიკის დიდი ქომაგი **ფილიმონ ქორიძე**, რომელმაც მისი სახით დიდი დასაყრდენი ჰპოვა.

1882 წელს თანამოაზრეებმა, ფილიმონ ქორიძის თაოსნობით, ძველი ქართული გალობის ნოტებზე გადატანა და აღწერა დაიწყო. მათმა თანამშრომლობამ ამ საშვილიშვილო საქმეში სიცოცხლის ბოლომდე გასტანა. 1882-1883 წლებში, იგი უსასყიდლოდ ასწავლიდა საეკლესიო გალობას, ჯერ თბილისის რეალურ სასწავლებელში, ხოლო 1885-1889 წლებში თბილისის სასულიერო სემინარიაში.

1889 წელს ნესტორ კონტრიძე გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსმა გრიგოლმა (დადიანი) დიკანად აკურთხა, ხოლო ამავე წელს მღვდლად დაასხა ხელი და ლიხაურის ღვთისმშობლის მიძინების ტაძარში დანიშნა.

1889 წელს, სამი წლის ვადით, ოლქის სამღვდლოებამ ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელში თავის წარმომადგენლად განამწესა, ამ თანამდებობაზე იგი ოთხჯერ იქნა არჩეული: მეორედ – 1894 წელს, – მესამედ – 1897 წელს და მეოთხედ – 1909 წელს. 1892 წელს ნესტორ კონტრიძე საგვერდულით დაჯილდოვდა, ხოლო 1896 წელს სკუფია უბოძეს. სამწუხაროდ მეცხრამეტე საუკუნის 90-იან წლებში გურიაში გაჩენილმა სახადმა მისი მეუღლე და მცირეწლოვანი შვილი იმსხვერპლა. ოჯახის დაკარგვის შემდეგ მოძღვარი ლიხაურის ტაძრის მახლობლად – განმარტოვებულ სენაკში გადავიდა, სადაც სიცოცხლის ბოლომდე ცხოვრობდა.

უნდა აღინიშნოს მელქისედეკ ნაკაშიძისა და ნესტორ კონტრიძის პედაგოგიური მოღვაწეობა თბილისში ნაყოფიერი გამოდგა. ამ საქმეში ხშირად გასამრჯელოსაც არ იღებდნენ, რადგან კარგად იცოდნენ რა ეროვნულ საქმეს აკეთებდნენ. სასულიერო სემინარიის მოსწავლეები „დროებაში“ წერდნენ: – „ამ უკანასკნელ დროს მიემართეთ თხოვნით ბ-ბ მელქისედეკ ნაკაშიძეს და ნესტორ კონტრიძეს, რომელთაც საუცხოოდ იციან ნამდვილი ძველებური გალობის კილო, რომ მიეღოთ შრომა და ესწავლებინათ ჩვენთვის სასულიერო გალობა. ბ-ბ მელქისედეკ ნაკაშიძისა და ნესტორ კონტრიძის შემწეობით, ველირსეთ ქართული ხმების გაგონებას ჩვენს სასულიერო სემინარიაში ... ამ კეთილ საქმისა და ჩვენი დიდად დაკავებისათვის გულისხმად მადლობას ვუძღვნით საქვეყნოდ ბ-ბ ნაკაშიძეს და კონტრიძეს მათი შევირდები – სემინარიელები“ (ილია თავბერიძე, XIX საუკუნის ქართველი მოღვაწეები და საეკლესიო გალობა“ თბ. 2005 წელი, საპატრიარქოს გამოცემა გვ.99).

საინტერესოა, რომ მამა ნესტორი არა მარტო უბადლო ხმის, განსაკუთრებით ბანის მქონე, არამედ რამდენიმე სიმღერის ავტორიც იყო, **მიხეილ შავიშვილის** მოგონება: – „ეს ბუმბერაზი მგალობელი და მომ-

ღერალი ლიხაურის ეკლესიის მღვდელი ნესტორ კონტრიძე, რომელმაც იცოდა მრავალი საგალობელიც, კარგად ფლობდა ქართულ-კახურ-სიმღერებს. წერდა ლექსებსაც, ქმნიდა სიმღერებს როგორცაა: „აჭის წყალო ანკარაო“, „მანანა“, „ლამაზო“ და სხვა. გურიაში ცნობილი „ოთხი ნანაც“ ნესტორ კონტრიძეს ეკუთვნის.“

ნესტორ კონტრიძის არაჩვეულებრივი ბანით, მისი უბადლო გალობით მოხიბლული 1910 წელს გურიაში მყოფი ყოვლად სამღვდლო ლეონიდე გურია სამეგრელოს ეპისკოპოსი: „ლიხაურის ეკლესია საესე იყო ხალხით და ტკებობდა მღვდელ ნესტორ კონტრიძის და მელქისედეკ ნაკაშიძის გუნდთა ძვირფასი გალობით“. წირვის შემდეგ ყოვლადსამღვდლო ლეონიდე ნესტორ კონტრიძეს სადილზე მიუპატიჟებია, სადაც გალობდა ორი გუნდი, თავად მამა ნესტორისა და მელქისედეკ ნაკაშიძისა.

მამა ნესტორ კონტრიძეს ლიხაურის „ალეგროც“ ბევრჯერ დაუმშენებია. მაშინდელი ალევროს მონაწილის **მიხეილ შავიშვილის** მოგონებიდან: „ალევროს გამგემ მოითხოვა, ნესტორ კონტრიძის მოყვანა, რომელიც ამ დროს ეკლესიაში იმყოფებოდა. მობრძანდა ნესტორი, მის მოსკლას გულთბილად შეხვდა ალევროსაზოგადოება. იგი ჭანიეთელებთან დაჯდა. გააღდა ღვინი. სიმღერაში შევიბრუნა – ჭანიეთელების მიერ თქმულ სიმღერებს, რომელიც დაამშვენა ნესტორის ბანმა, მთელი ალევრო სულმოუთქმელად ისმენდა. „ნადურის“ შესრულების დროს ნესტორი წინ გამობრძანდა, გამოიყვანა ივანე ლომჯარია, არტემ ბერიძე, დამწყებნი ქიშვარდი რამიშვილი და გიორგი ლომჯარია, პიმენ შავიშვილი, სოლომონ შავიშვილი, გიორგი მახარაძე და ლაზარე ლომჯარია. შემხმობები. ერთ მხარეს თავად დადგა, ხოლო მეორე მხარეს ოთხი ბანი დააყენა ერთად. ეს იმითომ, რომ მისი ბანი ოთხივეს ტოლი იყო, მცხოვრები მოძღვრის შესანიშნავ ხმაზე წლებს ვერავითარი გავლენა ვერ მოეხდინა, იგი ისევე ახალგაზრდული სიმძლავრით ქუხდა.“

ანზორ ერქომაიშვილის მოგონება: „1932 წელს გარდაიცვალა ცნობილი გურული მგალობლები: სამუელ ჩავლეიშვილი, ნესტორ კონტრიძე და გიორგი ბაბილოძე. არტემ ერქომაიშვილმა შექმნა სიმღერა „დავკარგეთ სამი მომღვინე“

„... პირველ ხმაში ჩავლეიშვილი კაკანებდა ვით ბუღბუღი წვრილს ეტყოდა ბაბილოძე სხვაფრთხილ ენა მოქარგული ბანს კონტრიძე შესახებდა დატკებობდა სული- გული სიხარულით ავაკსებადთ სამივეს ხმა ერთად თქმული“ (ა. ერქომაიშვილი „ჩემი წინაპარი“, „მნათობი“ 2000წ. I).

ნესტორ კონტრიძე გახლდათ ლიხაურის ღვთისმშობლის შობის ეკლესიის წინამძღვარი, ვიდრე მას კომუნიზტები დაარბევდნენ.

როგორც გადმოგვცემენ იგი თავის სოფლის საუცხოო მოძღვარი ყოფილა, მან ერთ-ერთმა გააუქმა ე წ „დრამის“ (საეკლესიო გადასახადი), რომელიც მძიმე ტვირთად აწვა მოსახლეობას.

არტემ ერქომაიშვილის მოგონება: – „ნესტორ კონტრიძე არა მარტო კარგი მოძღვრალი, იშვიათი პიროვნება იყო, ძველად მღვდლები

თავიანთ სამრევლო კომლზე ორ მანეთს ახდევინებდნენ, ამას ერქვა „დრამის ფული“, მაგრამ ნესტორ კონტრიძემ ლიხაურის მოსახლეობა სამუდამო გაათავისუფლა ამ გადასახადისაგან. ხალხმა მას დიდი მადლობა გადაუხადა, სამაგიეროდ ნესტორს სხვა სოფლის მღვდლებმა უსაყვედურეს. აწი ჩვევც არ გადაგვიხდიან გადასახადსო. ჩემი სურვილი ასეთია და თქვენ როგორც გინდათ ისე მოიქცეთო“ (ა. ერქომაიშვილი ზემოთ დასახელებული წიგნი).



მელქისედეკ ნაკაშიძე, მამა ნესტორ კონტრიძე, პარლამ სიმონიშვილი

ტაძრის შემოსავლებით მამა ნესტორმა გარკვეული თანხა შესწირა აჭისწყალზე რკინის ხიდის მშენებლობას.

ლიხაური თავისი მღებარეობით განსაკუთრებით მნიშვნელოვანი თემი იყო. სოფლის ბოლოს გადიოდა რუსეთ-თურქეთის საზღვარი. ხშირი იყო თურქთა შემოსევა და ეკლესია მონასტრების დარბევა, მამა ნესტორის მოღვაწეობა და მისი თანადგომა სოფლის მცხოვრებლებისათვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი იყო.

1897 წელს გურიაში მყოფმა **თედო სახოკიამ**, რომელმაც აღწერა სოფელი ლიხაური და მისი სიძველენი, თავის „მოგზაურობაში“ აღნიშნავს: „ლიხაურის ეკლესიაში შენახულია ტყავზე დაწერილი ოთხთავი ასომთავრული ზუცურით, აქაურ მღვდელს კონტრიძეს დაუკაზმინებია ეს განძი ჩვენი საეკლესიო მწერლობისა და საკმარის სისუფთავითაც შემოუნახავს“ (თ. სახოკია „მოგზაურობანი“, 1985 წელი გვ.75). თ. სახოკია გულისხმობს XI საუკუნის ოთხთავს (ლიხაურის სახარება), რომელიც დღეს დაცულია ხელნაწერთა ცენტრის ფონდში (-645). დღეისათვის სახარება დაზიანებულია და დაშლილია. აკლია გვერდები. ტექსტი ნუსხურია (საზღვარო ასოები ოქრომელნიო.) ოთხთავს აქვს სამი მინაწერი:

1. ლიხაურის სახარება 1924წ.
2. ეს სახარება ეკუთვნის ლიხაურის ღვთისმშობლის ეკლესიას, გურია, მღვდელი ნესტორ კონტრიძე.
3. სახარება ესე ძლიერ დაშლილი იყო, რამდენსაც მოვასწარი შევავროვე და შევაკაზმინე, მე, მღვდელმა ნესტორ კონტრიძემ, 1890 წელს მარტის 21-სა დღესა“ (ილია თავბერიძის ზემოთ

დასახელებული წიგნი).

ვინ იცის, რამდენი დაბრკოლება გადახდა თავს გულისხმიერ მოძღვარს, ამ საღვთისმშაზრო წიგნის ჩვენამდე მოტანისათვის, ის ზომ გამუდმებით ფიქრობდა და იღვწოდა ძველი საეკლესიო ნივთების გადარჩენაზე, უფრო მეტიც რუსი ეგზარხოსის ბრძანებებსაც კი არ ასრულებდა. 1912 წელს საქართველოს ეგზარხოსის ინოკენტის (ბელიაევი 1909-1913) საიდუმლო მიწერილობით, ეკლესია მონასტრებს დაეკალათ საეკლესიო ძველი

მღვდელი ნესტორ კონტრიძე

მიისაკუთრონ ისე, როგორც ამის გარდაც ჩაუდენიათ ჩვენი საეკლესიო ძველი ნივთების მოთვისება. მე არა მგონია, რომ დაგვიბრუნონ უკანვე, ამაზედ მე დიდად ვშიშობ და ვფიქრობ, მაგრამ საშვალეა ამ არასასიამოვნო მოვლენისა ჩვენ ვერ მიგვივინია. ამისათვის მაქვს პატივი მოვაწვდინო თქვენს ცნობამდე, როგორც საუკეთესო მამულიშვილის და გულშემატკივარს თავის ერისას. დაუკვირდით ამა ფრიალ მნიშვნელოვან საქმეს და გაგვაგებინით როგორ მოვიქცეთ ამ შემთხვევაში, მართლა თუ მოგვივიდა ყოველივე ეკლესიის განძეულობის გაგზავნის შესახებ მოწერილობა, ან მანამდე რა ზომები მივიღოთ ამ საქმის საშველათ.

დავშთვები მარად თქვენი მლოცველი, მღვდელი ნესტორ კონტრიძე, ს. ლიხაური 1912 წ. 2 ნოემბერის 19-სა“.

საარქივო მასალებში არ ჩანს რუსმა ეგზარხოზებმა აიღეს ხელი თავიანთ განზრახვაზე თუ სამღვდლო პირებმა არ შეასრულეს ბრძანება. უეჭველია ექვთიმე თაყაიშვილი ბრძანების შეუსრულებზე მოუწოდებდა მღვდლებს, ფაქტია, რომ ძველი საეკლესიო ნივთები ლიხაურის ეკლესიისა კომუნისტების მიერ ქვეყნის ოკუპაციამდე შენარჩუნებული იქნა. ზოგი რამ მერე გაანადგურეს და დაიტაცეს, რამდენიმე ნივთი მუზეუმში აღმოჩნდა. ლიხაურის სახარება 1924 წელს ქართველმა მეცნიერებმა აკაკი შანიძემ და შალვა ამირანაშვილმა ოზურგეთიდან თბილისში ჩაიტანეს და გადაარჩინეს დაკარგვას.

მამა ნესტორი ლიხაურში წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოების განყოფილების ხელმძღვანელი ყოფილა. განყოფილება 1912 წელს შეიქმნა და მიზნად დაუსახავს, სახალხო სკოლისა და სამკითხველოს დაარსება, მომღერალთა გუნდის ჩამოყალიბება, ძველი საეკლესიო და

ისტორიული ნივთების მოვლა პატრონობა, მათი აღრიცხვა. 1914 წელს საზოგადოებას ლიხაურში სამკითხველოს შენობის აგება დაუწყია, მაგრამ 1918 წელს ოსმალთა შემოსევის დროს ლიხაურის წიგნთსაცავი და სამკითხველო მთლიანად განადგურებულია. სამწუხაროდ 1920 წელს წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოება გაუქმებულია. ლიხაურში. მალე დროც შეიცვალა, განსაკუთრებით ცუდად ეკლესიისათვის, უკვე სოფლის გზაზე მომავალ მღვდელს საღამოსაც არ ეუბნებოდნენ. სმატკბილი საგალობლებისა და სიმღერების ნაცვლად მკრეხელუდად მღეროდნენ:

„მღვდელს ანაფორა გავხადე;

ზარი ჩამოვხსენი

ეკლესია დავანგრიე,

თეატრი გავხსენი“.

მამა ნესტორი დიდი მოთმინებითა

და სულიერი მხნეობით იტანდა ყოველივეს. ეკლესია მონასტრების დანგრევას, საეკლესიო სიძველეების ფეხქვეშ გათელვა ყოველდღიურ ხასიათს იღებდა, მამა ნესტორი ცდილობდა თავისი მოვალეობა ბოლომდე აღესრულებინა. 1926 წლის 4 სექტემბერს ლიხაურის თემალმასკომს განუხილავს მამა ნესტორის განცხადება „ეკლესიისათვის დასახურის ქერაბინდის მიცემაზე, რომელიც მმართველს თემს მისი მისაცემი. დაადგინეს: მიენდოს აღმასკომს მოავგაროს ეს საქმე საამისო წყაროს გამოჩენით“. ამის შემდეგ კი ლიხაურის მკვიდრის უხუცესი მასწავლებლის მიხეილ ვაშაყმაძის მოგონებებიდან ვგებულობთ: „კომკავშირლებმა ერთ დღეში დაარბიეს აჭის წმინდა გიორგის, ზიტელაურის (ოქროს მუხურის), ქაქუთის, ჭანეთის ეკლესიები. შეურაცხველს სამღვდლოებას, აჭის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის მოძღვარს მამა იოსებს (კონტრიძე) გზაში დახვდნენ შეიპყრეს, გათოკეს და ანაფორა შემოა-

ხიეს“. ეკლესიიდან გამოიყვანეს ქაქუთის ფერისცვალების ეკლესიის მოძღვარი მამა გიორგი (კონტრიძე) ანაფორა გახადეს და წვერი შეკრიჭეს.

დიდხანს ვერ ბედავდნენ ლიხაურის შობის ეკლესიის დარბევას. მამა ნესტორის დიდი ავტორიტეტი და და მოსახლეობის უსაზღვრო სიყვარულით სარგებლობდა ეს აფიქრებდათ ადგილობრივი რეგკომის წარმომადგენლებს, იგივე **მიხეილ ვაშაყმაძის** მოგონებიდან ვგებულობთ: „მაშინ პატარა ბიჭი ვიყავი, მაგრამ გუშინდელივით მახსოვს ეკლესიის დარბევა, 1924 წლის აგვისტო იდგა „მაუზერის ტყემა“, თავიანთი ძალები გააორმაგეს, რადგან ხალხის წინააღმდეგობის ემინოდით, ტაძრის ტერიტორიას ალყა შემოარტყეს, მამა ნესტორი სენაკიდან გამოიყვანეს, ხელები გაუთოკეს, ტაძრის გასაღები წაართვეს და ეკლესიის მარცვას შეუდგნენ. ლიხაურის ეკლესიაში მრავალი ძვირფასი ნივთი და სიწმინდე ინახებოდა. ყველაფერი გარეთ გამოიტანეს და მოძღვრის თვალწინ ცეცხლში ჩაყარეს თვალცრემლიანი მამა ნესტორი შესცქეროდა და ღმერთს ევედრებოდა, „შეუნდე უფალო, რამე თუ არ იციან რას იქმან...“ ტაძრიდან გამოიტანეს ძვირფას ყდაში ჩასმული სახარება ყდა მოადრეს და ცეცხლში ჩააგდეს, ამ დროს მამა ნესტორს კომკავშირელმა ბენია სალუქვაძემ ხელები შეუხსნა. მოძღვარმა ცეცხლიდან აიტაცა სახარება და გულში ჩაიკრა, მას ხელი ვერაგინ ახლო...“ (ვახ. „ხარება“ 2001 წელი 3).

„ტაძრის დარბევა ამით არ დასრულებულა, ყოვლად წმინდა ღვთისმშობელის ხატს ტაძრიდან გამოიტანეს, ძვირფასი ჩარჩო შემოხსნეს და გამოაბეს თოკი და სოფლის ცენტრამდე ათრიეს. ხატს უკან მოეყვებოდა გულში სახარება



ჩაკრული მოძღვარი. რეგკომისა და კომკავშირის წარმომადგენლები ხატს მუხის გარშემო ატარებდნენ თოქზე გამოძეულს და მღვდელს დაცინოდნენ თურმე – აბა ახლა მოახდინოს სასწაული ღვთისმშობელმაო, მამა ნესტორს მიუვია: მეტი სასწაული რაღა გინდათ, გაგავიყვით ხატმა და მუხის გარშემო გარბენიებითო“ (ვახუთი „ხარება“, 2001 წ. 3).

ამბობენ მამა ნესტორს სიცოცხლის ბოლომდე ანაფორა არ გაუხდია. ეკლესიისა და მრევლის გარეშე დარჩენილი მოძღვარი საცხოვრებლად საკუთარ სახლში გადასულა.

ტაძრის დარბევიდან რამდენიმე ხანში, სოფლის ცენტრში მუხის ქვეშ მჯდარ მამა ნესტორს ვინმე კომკავშირელმა მერველაძემ მათრახი გადაკრა, თავიდან სისხლმა იფეთქა, დაჭრილი ნესტორი ძმის ანტონის სახლში გადაიყვანეს, სადაც აღესრულა კიდეც.

ცნობილი მგალობელი და ხალხის საყვარელი მოძღვარი, გადმოცემით ლიხაურის ეკლესიის ეზოში დაკრძალეს, მაგრამ მამა ნესტორის საფლავი დღეისათვის უცნობია. ცნობილია მხოლოდ ის ფაქტი, რომ

იგი დაკრძალულია ლიხაურის ეკლესიის ეზოში კონტრიძეთა საგვარეულო სასაფლაოზე, მაგრამ ზუსტად სად, არ იციან. საფლავის აღწილმდებარეობის შესახებ ერთადერთი მიახლოებითი ვერსია გააჩნია მის ნათესავს ლიხაურის საჯარო სკოლის პედაგოგს, ქალბატონ დოდო დონაძეს. **დღეს საშუარი საძმავა ამ ღირსეული პიროვნების საფლავის მიკვლევა და სათანადო პატივის მიგება, მემორი და უპირველესი პი ის არის, რომ ლიხაურის და ოზურგეთის საზოგადოების, მრავლის სურვილია მისი მოწამობრივი ცხოვრება და მოღვაწეობა ღირსეული დახსენება.**

პირობითი მუშა იოსებას (პიკაპა) დასვას საპიტონი სამართლებლო ფინანსი სინოდის ფინანსი მღვდელ ნესტორ კონტრიძის ფინანსად შერაცხის შესახებ.

მანანა ლომაძე

ოზურგეთის სამუზეუმო გაერთიანების ფონდების მთავარი მცველი

ბახვი ჰესის მრჩეველთა საბჭო, როგორც პლიმრი ინსტიტუტისა და მრჩეველთა უნიკალური გამოცდილება

მახორციელებელ გუნდსა და ადგილობრივი საზოგადოების სხვადასხვა კვლავს შორს. სწორედ ამგვარმა დიალამ და თავისუფალმა დისკუსიამ მისცა შესაძლებლობა პროექტის გუნდს გაეთვალისწინებინა პროექტის დაგეგმარების საწყის ეტაპზე ყველა მნიშვნელოვანი ასპექტი და უზრუნველყო პროექტის საუკეთესო კუთხით დაგეგმვა-განხორციელება ადგილობრივი საზოგადოების ყველა კვლავის საუკეთესო ინტერესების დაცვით.

ნამდვილად სიმბოლურია, რომ ბახვი ჰესის მრჩეველთა საბჭოს ინაუგურაცია 2021 წლის 5 აგვისტოს სოფელ ლიხაურში ექვთიმე თაყაიშვილის სახლ-მუზეუმში გაიმართა. ნებისმიერი საზოგადოება სწორედ ისტორიულ მგალითებსა და ძლიერ ინსტიტუტებზე დგას. ბახვი ჰესის მრჩეველთა საბჭოც ცალკეული, თუმცა, ძალზედ წარმატებული მგალითია საერთო საკითხის გადაწყვეტის მიზნით საზოგადოების სხვადასხვა კვლავების გაერთიანებასა და ერთობლივი ნაყოფიერი მუშაობის, როცა პირიქით ან თუნდაც, საზოგადოების ცალკეული კვლავის ვიწრო ინტერესის ნაცვლად წინა პლანზე გადადის და უპირატესობა ენიჭება საერთო ინტერესს და მის დაცვას. გამოძიწმარე აქედან, კიდევ ერთხელ ვულოცავ მრჩეველთა საბჭოს თითოეულ მრჩეველს და ყოფილ წევრს, ასევე ბახვი ჰესის პროექტის განმახორციელებელ გუნდს ამ დიდ აღიარებას, და სამომავლო წარმატებულ საქმიანობას ვუსურვებ!“

მრჩეველთა საბჭოს წევრები ოზურგეთის და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტების წარმომადგენლები არიან. საბჭოს ფორმატში მუშაობის უპირველესი ამოცანა ბახვი ჰესის პროექტის ერთობლივი განვითარებაა. მერე და არა ნაკლებ მნიშვნელოვანი მიმართულება განახლებადი ენერგიების შესახებ ცნობებების ამაღლებაა.

ლალ მენაბდე, გურიის მოამბის დამფუძნებელი, ჟურნალისტი:

„მრჩეველთა საბჭოს ფორმატში

მუშაობა სასიამოვნო სახეა და ჩემ აზრით ის რეგიონში უპრეცედენტოა. ადამიანებს აქვთ რეალური ბერკეტები, იყენებენ საკუთარ კურსში, მიიღონ ობიექტური ინფორმაცია პროექტის შესახებ. მე მდიდის წარმომადგენელი ვარ. მდიდის გამტარუნარიანობა რიგ შემთხვევებში პრობლემური საკითხია, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ბახვი ჰესი მაქსიმალურად ცდილობს მდიდისთან კომუნიკაციას და მისი საშუალებით საზოგადოებას ამომწურავ ინფორმაციას აწვდის პროექტის მიმდინარეობის შესახებ. გურული საზოგადოების დამოკიდებულება მნიშვნელოვანია. კომპანია ზრუნავს საზოგადოების ცოდნის ამაღლებაზე, განათლებაზე. ეს დიდი ინტელექტუალური ინვესტიციაა. მოლოდინებს ყოველთვის აღმატებულია საბჭოს თითოეული მრჩეველი. გავლენით ტურებიდან მიღებული ინფორმაცია საინტერესო სახეა იყო ჩემთვის. ჩვენი მოვალეობაა ვიყოთ გამტარუნარიანები, გაავითოს სწორი

უკუკავშირი, საზოგადოებას გაეზრდეთ ჩვენი გამოცდილება. ჩვენ, ჩვენი მხრივ, ვასრულებთ დაკისრებულ მოვალეობას და იმ ნდობას, რაც დავაკისრა მოსახლეობამ. ჩვენ მონიტორინგს ვუწვეთ პროექტს, კომპანიის წარმომადგენლებთან ვთანამშრომლობთ. ისინი თავის მხრივ, პროექტის დეტალებს გვაყვნიებენ, რაც გვხმარება ვიყოთ სწორად ინფორმირებული.“

ნუგზარ ასათიანი, ვახუთ ალიონის მთავარი რედაქტორი:

„ღირსეულ ფორმატში მუშაობამ ვფიქრობ, საბჭოს წევრებს, პირველ რიგში, გამოცდილება შესძინა, თუ როგორაა შესაძლებელი ასეთ მნიშვნელოვან პროექტებში ჩართულობა და სწორი ინფორმაციის მიღება. საქართველოს დიდი ენერგეტიკული პოტენციალი გააჩნია და მცირე ჰესები ბუნებაში მინიმალური ჩარევის პირობებში ქვეყნის დამოუკიდებლობის განმტკიცების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია. 2021 წლის აგვისტოდან დღემდე ბახვი ჰესთან არსებულმა მრჩეველთა საბჭომ შეძლო პირველ რიგში ურთიერთ ნდობის მოპოვება, რაც ბახვი ჰესის მუშაობის პროცესში ჩვენმა ჩართულობამ და გამჭვირვალე პროცესმა განაპირობა. ყველა გადაწყვეტილება მრჩეველთა საბჭოსთან ერთად იყო განხილული და მდიდამ მიიღო პასუხები ყველა საჭირო და აუცილებელ კითხვაზე, რასაც კომპენტენტური უცხოელი ექსპერტებიც ადასტურებდნენ.“

ვლადიმერ ჩალეშვილი, მთისპირში

ოზურგეთის მერის წარმომადგენელი: „საბჭოს მუშაობის ფორმატი, მართლაც, რომ უნიკალურია ქართულ რეალობაში. არსად არ შემხვედრია ანალოგიური მგალითი, როცა კომპანია ასე გამჭვირვალედ ახერხებს კომუნიკაციას საზოგადოებასთან. იმედი მაქვს, ეს გამოცდილება საინტერესო იქნება სხვა კომპანიებისთვის. საბჭო ხელს უწყობს პროექტის განვითარებას. ჩვენ პატივს ვცემთ კომპანიის მუშაობასთან დამოკიდებულებას. საჭიროების შემთხვევაში ვართ კრიტიკულები, რომ საზოგადოებასთან ურთიერთობა ხარისხიანი იყოს. კომპანია ზრუნავს ჩვენი გავლით საზოგადოების ინფორმირებულობაზე. წლების მანძილზე ბევრი რამ გავფიქრეთ ენერგოდამოუკიდებლობის შესახებ, ვფიქრობ ამ მიმართულებით განვითარება მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნისთვის.“

მაკა შანიძე, არასამთავრობო ორგანიზაცია „ქალები ქალებისათვის – შეხვედრები გურიამში“ წარმომადგენელი:

„ეს ფორმატი უნიკალურია, რადგან მან რეალური თანამშრომლობის შესაძლებლობა მოგვცა. მრჩეველთა საბჭოს შექმნა არ იყო მხოლოდ ფორმალური ნაბიჯი – კომპანიამ გააკეთა ყველაფერი, რათა ჩვენი რეკომენდაციები რეალურად ასახულიყო პროექტებში. მსგავსი მიდგომა საქართველოში იშვიათია, ამიტომ ბახვი ჰესის ეს ნაბიჯი საფულისხმო და მისაძაბია. მსგავსი მიდგომა ზოგადდ არსებობს სხვადასხვა საერთაშორისო კომპანიებში,

განსაკუთრებით დასავლეთში, სადაც საზოგადოებისა და დაინტერესებული მხარეების ჩართულობა მნიშვნელოვანია. თუმცა, საქართველოს კონტექსტში ასეთი პრაქტიკა იშვიათია, ამიტომ ბახვი ჰესის ინიციატივა გამორჩეულია. საბჭოს წევრებისთვის ეს არის უნიკალური გამოცდილება, რომელიც საშუალებას გვაძლევს უშუალოდ ჩავიხედოთ კომპანიის მუშაობაში, გავაანალიზოთ პროექტის ყველა ეტაპი და ვიმუშაოთ რეალურ გადაწყვეტილებებზე. ჩვენ გავიღრმავეთ ცოდნა ენერგეტიკის, გარემოსდაცვითი და სოციალური პროექტების მართვის მიმართულებით. ასევე, ეს არის თანამშრომლობისა და ურთიერთგაგების პრაქტიკული გაკეთილი – ვისწავლოთ, როგორ უნდა ვიმუშაოთ გუნდურად და როგორ უნდა მივაღწიოთ შედეგებს დიალოგისა და კონსტრუქციული თანამშრომლობის გზით.“

ბახვი ჰესი მრჩეველთა საბჭოს პროექტით გაეროს გლობალური შეთანხმების კორპორაციული მდგრადობის ჯეილდოს მფლობელი გახდა. საერთაშორისო ჟიური კომპანიას ჯეილდო SDG (მდგრადი განვითარების მიზანი) მე-16 მიზანი – „მწველია, სამართლიანობა და ძლიერი ინსტიტუტები“ აღსრულებაში მიანიჭა. ბახვი ჰესის პროექტის ფარგლებში 2021 წლის 5 აგვისტოს დაფუძნებული მრჩეველთა საბჭო, მისი დაფუძნების მიზნითა და მუშაობის ფორმატით, ძლიერ ინსტიტუტად შეფასდა.

დავითანსაშუალი ფართი

სულთათანა

თამარ ნინიძე



40 დღე გავიდა მას შემდეგ, რაც ქართული პედაგოგიური საზოგადოებას გამოაკლდა კიდევ ერთი უკეთილშობილესი, პროფესიაზე უზომოდ შეყვარებული, არა მხოლოდ ღირსეული პედაგოგი, არამედ სხვათათვის სანთლად ანთებული, სიკეთითა და სათნოებით აღვსილი სანიმუშო პიროვნება — ნაგომრის საჯარო სკოლის მათემატიკის მასწავლებელი, ქალბატონი **თამარ ნინიძე**.

მისი გაკვეთილები არ იყო მხოლოდ სიღრმისეული ცოდნით გაჯერებული. ისინი იყო სითბოთი და სიყვარულით სავსე შეხვედრები, რომლებმაც არაერთი თაობა გაზარდა.

მისი ღიმილი, მოთმინება და

უსაზღვრო თავდადება ყველას ემახსოვრება, ვინც მის გვერდით ოდესმე იყო.

სანიმუშო კოლეგის, ჭეშმარიტი პედაგოგის თამარ ნინიძის ნათელი ხსოვნა მარად დარჩება ნაგომრის საჯარო სკოლისა და მისი აღზრდილების გულებში.

მისი შემოქმედი სული, ადამიანური სითბო ყოველთვის იქნება იმ გზამკვლევადა, რომელიც მომავალ თაობებს განათლებისკენ გაუძღვება. მარადიული ნათელი მის სპეტაკ სულს.

ნაგომრის საჯარო სკოლის კოლმეტიში; სამთა-ის ოჯახში; რაიონული ორგანიზაცია.

სოფორო!



პო, ჩვენ ვართ, შვილო, შენი მშობლები, შენი დედა და მამა, ვისთვისაც ორმოცი დღეა, კუნაპეტად იქცა დღეცა და ღამეც; ვისთვისაც აზრი დაჰკარგა შხის ამოსვლა-ჩასვლამ, მთვარის გამონათება და მიმალვა; ვინც ჩვენი წილი წუთისოფლის დამოკლებას და შენთან წამოსვლას ვანატრობთ!...

- შენი ერთადერთი, საფიცარი ძმა გეძახის, შენი წასვლის დღიდან თვალემაღვრებული, მწუხარების გამოსახატავად განმარტოვებს რომ ცდილობს, ვერალებით, არ გვაჩვენებს თავის ცრემლს...

- შენი რძალი, გეძახის, შენივრჩეული რძალი, შვილები რომ დაუფრთიანე, ახლაც მჭირდება შეხილება, თვალცრემლიანი გიზ-

მობს...

- შენი მამიდა გეძახის, კურცხალი რომ არ ემრიტება და მდინარედ ექცა მწუხრის ცრემლი...

- შენი ბიძები გეძახიან, სიზმარ-ცხადში დაგეძებენ. ისევ ისე გიფიცებენ, როგორც გიფიცებდნენ, ყველასგან გამოჩრეულად...

- ნათესავები, მოყვრები, მეგობრები, ამხანაგები, მეზობლები, ნაცნობები გეძახიან, ყველას ენატრები!

სოფორო!!!

პირველივე დამხილზე ღიმილით რომ შემოგეხმინებოდი, ახლა რატომ არ გვპასუხობ, შვილო?!

მზია და ამირან დოლიძეები.

მადლობა ურემისა და შუამდგომლობის გაერთიანებული წყალმომარაგების სერვისცენტრს

ურეკისა და შეგვეთილის მოსახლეობის სახელით გვინდა დიდი მადლობა გადაუხადოთ ურეკისა და შეგვეთილის წყალმომარაგების სერვისცენტრის მენეჯერს **გოჩა კვანტალიას** სანიმუშოდ გაწეული საქმიანობისათვის. მოუხდევად ურთულესი სეზონისა, მან სამგაღიოთ გაართვა თავი ყველა პრობლემას.

სანიმუშო არსების არ არსებობის გამო, პრობლემებს უქმნიდა უხუცესი საკანალიზაციო გადამქან სადგურს და დიდ ზიანს აყენებდა მოსახლეობას. ბატონი გოჩა მის გუნდთან ერთად მყისიერად პასუხიოდა ამ თუ იმ პრობლემას.

მადლობა მას და საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის დირექტორს **ალექსანდრე თედორაძეს** ყურადღებისათვის.

კობა ხარაიშვილი, მიხეილ როგოვი, შალვა დანელია, არჩილ ცხევაძე, თამარ ქარცივაძე, მაგალი ბიწაძე, ავთანდილ დიასმიძე და სხვები.

საერთაშორისო ოლიმპიადის გამარჯვებულებს სპეციალური ფორამები გადასცემს

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერმა ალექსანდრე სარიშვილმა პირველ მოადგილე ეკატერინე გუგუშვიტსთან ერთად სასკოლო სპორტულ ოლიმპიადებში გამარჯვებულ მოსწავლეებს სპეციალური ფორამები გადასცა.

სასკოლო სპორტულ ოლიმპიადებში საჯარო და მართლმადიდებლური სკოლების 110 მოსწავლე იღებდა მონაწილეობას. გამარჯვებულები სპორტის სხვადასხვა სახეობაში, რეგიონულ

ტურნირებში იასპარეზებენ. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერი დავით შარაშიძე მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსთან, ნიკოლოზ ღუმბაძესთან, ერთად მოქალაქეებს შეხვდა.

შეხვედრაზე განიხილეს მოქალაქეების საჭიროებები, რომელთა მოგვარებაზეც მერიის შესაბამისი სამსახურები აქტიურად იმუშავებენ.

სკანვორდი


						ქვეყანა სამხ. აზიაში					↙	მწვანელი				↖	ქორწინების ქალღმერთი			
						↓					↓								↖	
									↓						↖	მრგვალად დახვეული ძაფი	—	ფრანგული ფილმი	↖	პენალტის დატყმის სტილი
																ყლორტი		↓		
																↓				
													↑	ღვლამიწის ერთ-ერთი შრე						
	იაპონური ავტომო- ბილი	↘								—			↓							
	↘											↓								
		↘	ნაუტილიუ- სის კაპი- ტანი	↘	იხვის შეილი	სასროლი იარაღი	—	↖	ციხე ქვემო ქართლში	↖	ილია ჭავჭავაძის პოემა	↖	რობერტ			↖	ფეხით ღარგყმა რაგბში			
			↓										↖	ნეპალის ღვლქალაქ ი						
													↓	ქიბერი ფილმ „ტაქსიდან“						
				↖	ძროხისებრ ი გარეული ცხოველი	საბრძოლო აღჭურვილ ობა ძველ დროში	→								↓					
↖	სახაზავი ხელსაწყო	↖	პაგარა ცხენი										↖	ყავის ბრენდი	↖	გემის ნაწილი	↖	ანტიკური ქალაქი აფრიკაში		

პასუხები:

„სენიორი“ — იტალიური სიტყვაა, რომელიც „მეფე“ ნიშნავს. „სენიორი“ — ეს არის სახელის ტიტული, რომელიც მეფისათვის ან პატივსაცემ პირს ანიჭებენ. „სენიორი“ — ეს არის სახელის ტიტული, რომელიც მეფისათვის ან პატივსაცემ პირს ანიჭებენ. „სენიორი“ — ეს არის სახელის ტიტული, რომელიც მეფისათვის ან პატივსაცემ პირს ანიჭებენ.

სამართველი 1907-1914 წლებში

მართველი საზოგადოება 1905 წლის რევოლუციის შემდგომი



ავტორს კმაყოფილებას ანიჭებდა ქართველი ინტელიგენციის რადიკალიზაცია, რადგან ინტელიგენციის რიცხოვნობა ზრდასთან ერთად ვითარდებოდა და იზრდებოდა მისი თვითშეფასება. ამას კონტრასტში მას დადებით მოვლენებად მაჩვენებდა: ბევრადიან სიტყვის განვითარება, ახალი ჟურნალ-გაზეთების გამოცემა და ხალხში სულიერი მოთხოვნილების დაკმაყოფილებისაკენ სწრაფვა, მოსახლეობის სულ უფრო დიდი რაოდენობის ჩაბმება გონებრივ შრომაში. ამ დადებითი ტენდენციების ჩამოთვლის შემდეგ ს. დარიანი სვამს კითხვას: რა მიმართულებით მიდის მატერიალურად და სულიერად მზარდი ქართველი ინტელიგენცია? კითხვის პასუხი ძალზე საინტერესოა: „პოლო ათწლეულის განმავლობაში ჩვენი ინტელიგენციის განვითარების საერთო სულისკვეთებას დავასაბუთებთ სიტყვებით: რეალიზმისაკენ მიმსწრაფება. ქართველი ინტელიგენცია რუსული ინტელიგენციის მსგავსად უფრო და უფრო რეალისტური ხდება. მან ზურგი აქცია ძალზე ამაღლებულ, ცხოვრებისაგან ძალზე დაშორებულ პრობლემებს და ჩვენი უმწვავესი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას შეუდგა, ამრიგად, სინამდვილეს მიახლოვდა.“

ს. დარიანი კმაყოფილებით აღნიშნავს, თუ რამდენად პოზიტიურია, რომ ინტელიგენციამ უტოპიური იდეების განხორციელებისათვის ბრძოლას თავი ანება. წარსულში უტოპიური იდეებისათვის ბრძოლა ავტორის თანამედროვეობაში მოუღებლად და საზიანოდ მაჩვენებს: „ნათუი არ დაამტკიცა ჩვენს ინტელიგენციამ თავისი უტოპიზმი, თავისი მეტაფიზიკურობა, როცა მარქსისტული თეორიის ანაბი დაიხუთხა და წარმოიღვნა, რომ სამყაროს ბედს წყვეტდა, კაცობრიობის ბედნიერებისათვის აბრძოდა და იმედი დროს, ვერ ამჩნევდა, თუ რა ზეგონი მის ცხვირში?“ კიდევ უფრო მოუღებლად და საზიანოდ მაჩვენებს ს. დარიანი ის, რომ ქართველი ინტელიგენცია რუსულ ინტელიგენციას ბაძვდა, ხოლო რუსული ინტელიგენცია, თავის მხრივ, დასავლურის მიმბაძველი იყო. ქართველი ინტელიგენცია მარქსის თეორიის ტყვეობაში იყო აღმოჩენილი, არც კი დაფიქრებულა, შეიძლება თუ არა სოციალ-დემოკრატიული იდეების ქართულ სინამდვილეში გადმოწერვა. ქართველი ინტელიგენცია იმდენად დაბრმავდა მარქსის თეორიამ, ვერც კი მიხვდა, თუ რამდენად შეუსაბამო იყო იგი ქართულ სინამდვილესთან. მარქსიზმის თეორიას გამოკიდებული ქართველი სოციალ-დემოკრატები ცხოვრებას მოსწყდნენ, მარქსიზმის არსში ვერ გაერკვნენ, ვერ დაინახეს, რომ სოციალ-დემოკრატია ევროპაში სულ სხვა გარემოში წარმოიშვა, ეს გარემოება სულაც არ ჰქავდა ქართულ სინამდვილეს. როგორც ვხედავთ, ს. დარიანი ქართულ სოციალ-დემოკრატს, არც მეტი, არც ნაკლები, საზოგადოებრივი

აზროვნების შეფერხებაში სდებს ბრალს. თავისი შეხედულება რომ დაამტკიცოს, ს. დარიანი ერთმანეთს ადარებს გერმანულ და ქართულ სოციალ-დემოკრატს. ავტორი აღნიშნავს, რომ გერმანული სოციალ-დემოკრატია განვითარებული კაპიტალისტური ეკონომიკის პირობებში აღმოცენდა, როცა ქვეყანაში პროლეტარიატი ჩამოყალიბებული იყო მრავალრიცხოვან კლასად. ამ დროს გერმანიაში სამართლიანობისათვის ბრძოლა უკვე დაწყებული იყო, სოციალ-დემოკრატმა ამ ბრძოლის ჩარჩო დაეწირა და აქცენტი არა საერთოდ მოსახლეობაზე, არამედ პროლეტარიატზე გადაიტანა. გერმანული სოციალ-დემოკრატები იმთავითვე მიხვდნენ, რომ გერმანიის პროლეტარიატის ბრძოლა უფრო წარმატებული იქნებოდა, თუ იგი სხვა ქვეყნებისა და ხალხების ბრძოლას დაუკავშირდებოდა. ეს იმას ნიშნავდა, რომ გერმანული სოციალ-დემოკრატია ინტერნაციონალიზმის პოზიციაზე დგოდა. ს. დარიანი ამ საკვებით ობიექტური დასკვნების შემდეგ კიდევ ერთ საყურადღებო შენიშვნას აკეთებს: ინტერნაციონალიზმის იდეის აღიარების კვალდაკვალ, გერმანულ სოციალ-დემოკრატს ნაციონალიზმის იდეები უნდა უარეყო და ნაციონალიზმი კონსერვატორულ იდეოლოგიად გამოეცნა. იმედგეროდ, გერმანულმა სოციალ-დემოკრატმა ნაციონალიზმი მთლიანად უარყო და ეს ორივე იარაღი გერმანულ ბურჟუაზიას მიაკრა. გერმანულმა სოციალ-დემოკრატმა იმდენად გამოეცნა ნაციონალიზმი, შოვინიზმი და მთლიანად უარყო, რომ ქართული ინტელიგენცია? — ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა გერმანული სოციალ-დემოკრატის მიმართ ერთგული გრძნობა, ერთგული ღირსების დაცვა კონსერვატორულად გამოაცხადეს. ასეთი დასკვნა იმას ნიშნავდა, რომ ს. დარიანი სულთათმანი გადაუდგო ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის ყველაზე ძლიერ ძალას — სოციალ-დემოკრატს. ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს, რა განცდა დაეუფლებოდათ ქართული სოციალ-დემოკრატის ლიდერებს, როცა ს. დარიანი ნაშრომში ასეთ დასკვნას წააწყდებოდნენ: „ქართველი სოციალ-დემოკრატები ფეოდალური მეტაფიზიკოსები იყვნენ, რომლებიც სრულიად უძლეველი იყვნენ შეფასებისათვის სინამდვილე. უცხოურმა თეორიამ დალუპა ისინი (...). დასავლეთი ევროპული სოციალ-დემოკრატია რეალურ მოთხოვნილებათა ნადავზე აღმოცენდა და შეძლო აქტიური ყოფილიყო. ქართული სოციალ-დემოკრატები განწირული იყო სრული უმოქმედობისათვის. ჩვენთან, ჩამორჩენილი პატრიარქალური კულტურის პირობებში, სინამდვილეში, პროლეტარიატი საერთოდ არ არსებობდა. არ არსებობდა ის პროლეტარიატი, რომლის ორგანიზებისათვის ევროპაში სოციალ-დემოკრატიული პარტიები შეიქმნა. აბა, რა რეალური აზრი ჰქონდა, მაგალითად, საგარეო კანონმდებლობის მოთხოვნას მამინ, როცა მთელს ჩვენს ქვეყანაში სუთითვდნენ ნამდვილი ფაბრიკა და ქარხანა თუ მოიძებნებოდა! ანალოგიური მოთხოვნისათვის ფონზე ქართული სოციალ-დემოკრატია მოგვაგონებდა იმ სასაცილო მოცეკვავს, რომელიც მთლიანად გამელოტებულიყო, მაგრამ ძლიერ წუხდა საგარეო სუთნობის, თუცა იგი მისთვის სულაც არ იყო საჭირო.“ ქართული სოციალ-დემოკრატის ასეთი ღრმა, საუფლებოანი და, ამავე დროს, მასობრივი მეთვლეკისათვის გასაცემი კრიტიკა იმხანად ძალზე იშვიათი იყო.

ს. დარიანი შეეხო ქართული სინამდვილისათვის უაღრესად საჭირო ობიექტურ პრობლემას — ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებისა და ეროვნული ბურჟუაზიის საკითხს. ავტორი თვლიდა, რომ საქართველოს მომავალი სწორედ

ეროვნული ბურჟუაზიის ჩამოყალიბებას და გაძლიერებას უკავშირდებოდა. ს. დარიანი დანახვით აღნიშნავდა, რომ ქართულ ეროვნულ ბურჟუაზიას ზღუდვდა და ავიწროებდა უცხოური ბურჟუაზია, მაშინ, როდესაც ეროვნული ბურჟუაზიის გაძლიერება სასიცოცხლოდ აუცილებლად მაჩვენებდა. „დღემდე ნაციონალური გრძნობის მატარებელი, ნაციონალური იდეის გამოხატველი თავდაზნაურობა იყო, რომელიც შეურაცხყო მთავრობამ (რუსეთის იმპერიის მთავრობამ — ვ. გ.) იმით, რომ მოატყუა და იმელები გაუცრუა. თავდაზნაურობის ნაციონალიზმი ძირითადად განსხვავდება ჩასახვის პროცესში მყოფი ქართული ბურჟუაზიის ნაციონალიზმისაგან (...). თავდაზნაურობის ნაციონალიზმი მელანქოლიური და წარსულისაკენ მზირალი იყო (...). ყველაფერი, რაც წარსულს ასხერებდა, ნაციონალიზმი თავდაზნაურობისათვის ძვირფასი იყო (...). თანამედროვე ბურჟუაზიის ნაციონალიზმი, რა თქმა უნდა, ევოლუციურ ნადავზე აღმოცენდა, თუცა ძირვესიანად განსხვავდება ძველი ნაციონალიზმისაგან. ეს პროგრესული ნაციონალიზმია. ბურჟუაზია იდეებს მომავალში ეძებს და არა წარსულში. მას საქართველოს მომავალი დასავლეთი ევროპის ერების მომავლის მსგავსად წარმოუდგენია, რაც განვითარებულ საგარეო-სამრეწველო ცხოვრებას, რკინიგზების ქსელს, ტელეგრაფს, ტელეფონს, ელექტრობას, მანქანებს, პოლიტიკურ თავისუფლებას, კლასების დიფერენციაციას, მოსახლეობის მრავალფეროვნებას გონებრივ ცხოვრებას და მრავალ სხვას გულისხმობს. ქართულ ბურჟუაზიას თავისი სამშობლოს ევროპეზაცია სურს. ბურჟუაზიული ნაციონალიზმი ფიზიკურად იფრუტა წინ.“


ს. დარიანი მერ საქართველოს მომავლის ბურჟუაზიულ წყობილებას და ბურჟუაზიასთან მჭიდრო დაკავშირებას ეხმარება არჩილ ჯორჯაძის იდეებს, თუცა გარკვეულ წინააღმდეგობაშიც არის მასთან. ს. დარიანი ქართველი ინტელიგენციის წარმატებად მიიჩნევს იმას, რომ მან ადგილი აუღო თანამედროვეობას, ზურგი აქცია წარსულის იდეალისტურ, ამაღლებულ გრძნობებს, თავის მოღვაწეობას საფუძვლად რეალისტური მისწრაფებები დაუდო. ყოველივე ამას არჩილ ჯორჯაძე ქართველი ინტელიგენციის გადაგვარებად მიიჩნევდა, რადგან, მისი აზრით, არსებულ ვითარებასთან, რეალობასთან, შეგუება ყოველთვის არ იყო ერისათვის სასიცოცხლო, სასიცოცხლო არ იყო არც რევოლუციის შემდგომი პერიოდის საქართველოსათვის.

რა განსაცდელი მოჰყოლია მართველი მარქსი?

1905 წლის რევოლუციის შემდგომი ქართველი საზოგადოებისა და მისი ინტელიგენტული წინაშე, ინტელიგენციის, დახასიათებისას აშკარად გამოჩნდა, რომ ამ ძნელბედობის ფაზა ქართველ ერს, პრაქტიკულად, წინააღმდეგობა არ ჰქავდა. ამას ემატებოდა ის, რომ სოციალისტური ორიენტაციის პარტიები რუსეთის სოციალისტური ორიენტაციის პარტიებთან კავშირში ახალი სოციალური აფეთქებისათვის ემზადებოდნენ და ცდილობდნენ კლასთა და სოციალურ ფენათა შორის დაპირისპირების გაშვებას. სოციალისტები მიზანს მაღაწყვედნენ, თუ ეროვნული ძალები გაერთიანებას და საერთო სტრატეგიის შემუშავებას ვერ შეძლებდნენ. სწორედ ამ ფაქტორების გათვალისწინებით არჩილ ჯორჯაძემ 1908 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში „სამშობლო და მამულიშვილობა (ეროვნული პრობლემა საქართველოში)“ დასვა კითხვა: „რა განსაცდელი მოულის ქართველ ხალხს?“ ამ კითხვაზე პასუხის გაცემა სასიცოცხლოდ აუცილებელი იყო. ნაშრომში ვკითხულობთ: „ეროვნულ პრობლემის სიძნელე თეორიული სიძნელე არ

არის. თეორიაში ყოველივე მწყობრად წყდება და ჰლაგდება. სიძნელე იწყება იმ დროიდან, როდესაც ეროვნული პრობლემები გინდათ გადასწყვეტოთ კონკრეტულ პირობების მიხედვით, როდესაც ანგარიში უნდა გაუწიოთ მრავალ მოვლენას, რომელთა არსებობა თეორიის მხედველობაში არ მოუღია. როცა დიდ, ვრცელ ტერიტორიაზე სცხოვრობენ ერთი ღირსების, კულტურის წარმომადგენლები ერთი, როდესაც ამ ერთი თვითვეულ ცხოვრებაში ორ მკაფიოდ გამოსახულ მაპირდაპირ სოციალურ კლასს ხედავთ, მაშინ ძნელი არ არის იმისი გადაწყვეტა, თუ რა ღირსებისა და დღევანდელი პატრიოტიზმი და მამულიშვილობის გრძნობა, რომელიც ამ შემთხვევაში კლასთა განსხვავებების დასაფარავ ფარ-ხმალად ხდება ხოლმე.“ როგორც ირკვევა, არჩილ ჯორჯაძე „დიდ, ვრცელ ტერიტორიულ“ რუსეთის იმპერიის მიერ დაპყრობილ სამხრეთ კავკასიას (ამიერკავკასიას) თვლიდა და იქ მცხოვრებ, „ერთი ღირსების, კულტურის“ მატარებელ ერებად ქართველებს, სომხებს და აზერბაიჯანელებს მიიჩნევდა. ნაშრომში ვკითხულობთ: „როდესაც თქვენ ხედავთ წინააღმდეგობას და ეკონომიკური კამპიონის რამდენიმე ერს, ერთმანეთში ყმათა ვითარების გამო არეულებს, როდესაც ამ არეულობის გამო ფერხდება კულტურული განვითარება თვითველისა და, როდესაც ეს ერები ამასთან, დამორბეული არიან სხვა ძლიერ ერის მიერ, რომელსაც სურს გასთქვიფოს სხვა და სხვა ელემენტები მის მიერ დაწესებულ სასტიკ პოლიტიკურ ფორმებში; როდესაც თქვენ ხედავთ, რომ ყველა ამის გამო გამაჟმარავდა რასიული, ლინგვისტური, სარწმუნოებრივი და ეკონომიკური კამპიონი და მტრობა არა მარტო ორ კლასს შორის, არა მტრობა და ყმათა შორის, არამედ სხვა და სხვა ერთა შორისაც, სხვა და სხვა ერთა დამარცხდომ კლასთა შორისაც, მაშინ იწყება სიძნელე ეროვნულ პრობლემის გადაწყვეტისა (...). სწორედ ამ კონკრეტულ პრობლემის მიხედვით უნდა გადასწყვეტოთ ეროვნული პრობლემა.“

ზემოთ ხსენებულ პრობლემათა ფონზე საქართველოსა და ქართველი ერის მდგომარეობის სრულად დახასიათება ერთ წერილში, ცხადია, არ მოხერხდებოდა, რის გამოც არჩილ ჯორჯაძე მხოლოდ რამდენიმე საკითხზე ჩერდება: „ჩვენ გვინდა მთავრობითი მეთვლეკის ყურადღება იმეცად ფაქტებზე, რომელნიც გვეუბნებიან და გვაფრთხილებენ: აი, აქ, ამ ნიდავზე გაიზრდება ერთა შორის შუღლი და აქ ჩატყდება ხელი, რომელიც გინდათ აშენოთ სოლიდარობისა და ერთიანობის განსამტკიცებლად“. არჩილ ჯორჯაძე, სანამ მხედველობას გააგრძელებდა, მკითხველს რჩევას აძლევს, დააკვირდეს საქართველოს, ქართველი ერის „ერთ ფრად საგვალხო უკუღმართობას“. ამ „სავალხო უკუღმართობის“ მაგალითი თბილისის გუბერნიის ახალქალაქის მახრის მაგალითზე მოჰყავს. სოფელ ხერეთისში, სადაც ქართველები ცხოვრობდნენ, თითოეული კომლი 3,52 დესეტინა მიწას ფლობდა, სომხთა კომლი — 40,50,100 დესეტინას. არჩილ ჯორჯაძე აღნიშნავს, რომ ასეთი უთანასწორობით ახალქალაქის მახრამ „ქართველები ეკონომიკურად დაუძლეოდნენ და ჩამორჩნენ. ამ პროვინციებში ძველად ყოფილა კულტურა. რომ ჰქონოთ ძველ მესხეთის დღევანდელ ჩამომავალ ქართველს, ვინა ხარ შენა, ჩაფიქრდება და გეტყვით, ფრანგი ვარო. სარწმუნოებას, პარტიების მტკიცებობით, გაუტყარწველეს ეროვნული გრძნობა.“ ავტორი აღნიშნავს, რომ მიწა-წყლის უთანასწორობა და უმართებულოდ მგლობლობა თბილისის გუბერნიის ბორჩალოს მაზრაშიც არის აღნიშნული, სადაცაა უმწაწყლო ქართველები მხოლოდ მაზრებში გადაიხვეწნენ და იქ მამულიშვილის მოვლადრეები გახდნენ. ბორჩალოს მაზრაში,



1885 წლის მონაცემებით, რუსი კოლონისტების ერთი კომლი 62, 51 დესეტინა მიწას ფლობდა, სომხების — 25, 36, 40, 51, 52 დესეტინას, ბერძნების — 10, 27, 32, 33 დესეტინას, თათრების — 24, 47, 53, 62 დესეტინას, ქართველების კომლი სხვადასხვა სოფელში 2, 4, 5, 21, 71, 89 დესეტინის მფლობელი იყო. ქართველები, მიწის სიმცირის მოხელად, არაქართველებთან შედარებით 8-ჯერ მეტ გადასახადს იხდებდნენ.

თბილისის გუბერნიის ახალქალაქსა და ბორჩალოს მაზრებში შექმნილი ვითარების დახასიათების შემდეგ არჩილ ჯორჯაძე ქართლში (გორის მაზრაში) არსებულ სურათს გვაჩვენებს: „ქართლში ამ უკანასკნელ ხანებში შესამჩნევლად გაძლიერდა ოსების მფარველობა. ბატონ-ყმობის გადაყარვის შემდეგ ერთი-ორად მატულობს გადასახლება ფრანგს ხეობაში. აქ გაშენდა სხვა სოფლები. ამ სოფლების გაშენების გამო მოიმატა ტყე, ზომადა 8,500 დესეტინა, საფლავადო მამულში. სად და ვის მიწაზე სახლებიან ოსები? დროებით ვალდებულ გლეხებისაგან ჩამორთმეული ჩამონატყვებ. თიფა, თერგვანი, ახალშენი, ზენის უბანი, ტყის უბანი, ნაბაქვი და შინდარა დროებით ვალდებულ გლეხებს ეჭირა. თანდათან ამ სოფლებში მკვიდრებიან ხიზანი ოსები. წირისში სცხოვრობდნენ ქართველი გლეხები, გვარად მაისურაძეები, ტაბუკაძეები და კობერიძეები. დღეს კი არც ერთი მათგანის გვარისა და მოღვაწის აღარ სცხოვრობს იქ. მათ ადგილზე ხიზნები დამკვიდრდნენ. იმავე მოვლენას ვხედავთ ცისაში, სადაც ქართველები სახლობდნენ და სადაც დღეს მათი ხსენება აღარ არის. ახალშენში დიდი ხანი არ არის, რაც დროებით ვალდებულ გლეხებს ჩამონატყვები ჩამოერთვათ და ოსებს გადაეცათ. იგივე მოხდა აწეშში. სოფელ ყირისში ამ ორმოცდაათი წლის წინათ 7 კომლი ხიზანი იდგა, დღეს მამულეების მეტადნობით 120 კომლი ხიზანი სცხოვრობს. მთლად ხერხეულიძეების მამული დღეს ხიზნების ხელშია. ტატიშვილების მამულშია იგივე ამბავი. ეს მამული ზომადა 2,000 დესეტინაა. აქ გაშენდა 7 სოფელი ოსებისა. ამ ბოლო დროს სოფ. ოქონაში მამულეებმა დაასახლეს 14 კომლი ხიზანი. ოქონელ გლეხებს წართვეს 148 დესეტინა მამული, ცალკე სოფლად გამოჰყვეს და დაარქვეს სოფ. „გიორგი-წმინდა“. სოფელ ალექსანდრე 9 ექსურმა მამულეებმა ხიზნებს მისცეს წვრილად ტყე სამეზღო. დღეს ალექსანდრე 14 კომლი ხიზანი სცხოვრობს (...). მამულეები ორივედ გრძნობისათვის უამისოდაც ეჩირო ადგილზე ახლებს ასახლებენ, არეხიებენ ტყეებს და ბუნებით მდიდარ ქვეყანას გაუვარებას და გატყვევებას უშაძლებენ.“

პასტაჩი ბელინსკი

„საქართველოს ახალი ისტორია (1801-1918)“ წიგნი IV. გვ.44-48

ჩოხატაურში ოთარ დოლიძის ნამუშევრების გამოფენა გაიმართა



ალიონი. 28 მარტს, ჩოხატაურის ედმუნდ კალანდაძის სახელობის თანამედროვე სახვითი ხელოვნების ცენტრში მსატყარ ოთარ დოლიძის ნამუშევრების გამოფენა გაიხსნა.

ოთარ დოლიძე 1946 წლის 10 სექტემბერს დაიბადა სოფელ აძღვრებში. დაამთავრა შუა ამაღლების საშუალო სკოლა და სავალდებულო სამხედრო სამსახურის მოხდის შემდეგ ჩაირიცხა თბილისის სამხატვრო აკადემიაში გრაფიკის ფაკულტეტზე, რომელიც 1976 წელს დაასრულა. მუშაობდა შუა ამაღლების სკოლაში ხატვის მასწავლებლად. 1983 წლიდან თითქმის ოთხი ათეული წლის განმავლობაში პედაგოგურ საქმიანობას ეწეოდა ჩოხატაურის სამხატვრო სკოლაში, 1991-2016 წლებში მუშაობდა ჩოხატაურის სამხატვრო გალერეის დირექტორად, სადაც რეგულარულად იმართებოდა როგორც ახალ-

გაზრდა, ისე პროფესიონალი მხატვრების გამოფენები...

ოთარ დოლიძე 2023 წელს გარდაიცვალა. ამჟამინდელი გამოფენა ადგილობრივი თვითმმართველობის და ჩოხატაურის სამხატვრო სკოლის ორგანიზებით გაიმართა. წარმოდგენილია არაერთი საინტერესო ნამუშევარი: „ბახმარის მთები დაუთოვლია“ (ტილო, ზეთი); „ავტობიორტრეტი“, „პეიზაჟი“, „ვაჟა“, „მეგობრის პორტრეტი“ (ყველა მუყაო, ზეთი); „ბიძაშვილის პორტრეტი“ (ქაღალდი, ფანქარი); „მეგობრები“ (ქაღალდი, ოფორტი) და ა.შ.

გამოფენას ესწრებოდა მხატვრები დაჩი მინდაძე, არჩილ კუტალაძე, კახი მგალობლიშვილი, მხატვრებმა მალაღი შეფასება მისცეს ოთარის შემოქმედებას და ოთხმოციანელების ერთერთ დიდ მხატვრად მოიხსენიეს.

შპა კინტრაძე, ჩოხატაურის სამხატვრო სკოლის დირექტორი: — რაც ყველაზე თვალში საცემია, ოთარის უყვარდა ხატვა და გაჩუქება, ეს ნამუშევრებიც მეგობრების კოლექციიდანაა, არ უყვარდა თავის გამოჩენა და გამოფენის მოწყობა პერსონალურად, თავად გალერეაში დირექტორი რამდენიმე შერეულ გამოფენაში იღებდა მონაწილეობას. ნახატები იქნებოდა ძირითადად სიყვარულზე, მეგობრობაზე და რწმენაზე, აი ეს თემები ფიგურირებს, სამშობლო უმთავრესი იყო ოთარის შემოქმედებაში. იყო საუკეთესო და ერთგული მეგობარი, მამა, მეუღლე და მოქალაქე.

აფთხაძე თაყაიშელაძე, ოზურგეთის სახვითი ხელოვნების ცენტრის დირექტორი: ეს გამოფენა მნიშვნელოვანია იმით რომ, თუ როგორ შეიძლება მოსწავლემ რომელიც ამ შემთხვევაში



სამხატვრო სკოლის დირექტორი შპა კინტრაძე გახლავთ დაფასოს მისი ყოფილი მასწავლებელი და შემდეგში კოლეგა იყო, გაუკეთოს ის, რაც მისი სულისათვის უმთავრესია.

თავად ოთარ დოლიძის ცხოვრება და მისი მოღვაწეობა კი იმის მაგალითია, რომ როგორ ჭირდება ხელოვნანს სამოღვაწეო სივრცე და დიდი ასპარეზი, რომ ბოლომდე დაიხარჯოს და გამოავლინოს მთელი შემოქმედება, მაგრამ მისი ღვაწლი კიდევ უფრო მნიშვნელობას იძენს იმით, რომ მან პერიფერიაში იცხოვრა და აქ დაიხარჯა აქ გამგრა ადგ-

ლი და გურიას, ჩოხატაურს ემსახურა. მე, როგორც გრაფიკოსი, განსაკუთრებით თვალში მომივიდა მისი ორი გრაფიკული ჩანახატი „მეგობრები“ და „ბაღანა ვაშლებით“. მე მის ნახატებში ვგრძნობ დიდი შემოქმედის პოტენციალი, რომლის შედარებისათვის ვიტყვი „ჩიტა გალიაში“, ისევე როგორც ყველა ნუქიერი მხატვრისათვის, ასპარეზია სწორიკარგა რომ ჩოხატაურს აქვს გალერეა და მდლობა მის შესვეურებს რომ ასეთი საქმეებს აკეთებენ ეს მაგალითია ყველა თაობისათვის.



ვასილ ჩიგოგიძე, საქართველოს მამაკაცთა სახალხო დაჯილდოების ცერემონიაზე – „ოქროს არწივით“ – დაჯილდოვდა



ოზურგეთის სახელმწიფო დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, **ვასო ჩიგოგიძე**, საქართველოს მამაკაცთა სახალხო დაჯილდოების ცერემონიაზე – „ოქროს არწივით“ – დაჯილდოვდა.

აღნიშნული ჯილდო მას „ოქროს არწივის“ დამფუძნებელმა, ბესო ჩუბინიძემ, ქართული კულტურის განვითარებაში შეტანილი

განსაკუთრებული წვლილისა და სახელმწიფოს, საზოგადოების წინაშე ღირსეული საქმიანობისთვის გადასცა.

ოზურგეთის სახელმწიფო დრამატული თეატრი და გახეთ „ალიონის“ რედაქცია ვასილ ჩიგოგიძეს ულოცავს ამ დამსახურებულ აღიარებას და უსურვებს მას შემდგომ წარმატებებს!

ახალგაზრდები ენერგოუსაფრთხოებისათვის

„ახალგაზრდები ენერგოუსაფრთხოებისათვის“ – ამ სახელწოდებით დაიწყო პროექტი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ლაითურის და ნარუჯის, ასევე ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ბუკისციხისა და იანულის სკოლების ეკო კლუბების წარმომადგენლებისთვის.

პროექტის მიზანია ენერგო ეფექტური გარემოს შექმნის თანამედროვე ინსტრუმენტების პოპულარიზება და საზოგადოების ინფორმირება ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესახებ.

„ენერგო უსაფრთხოების გაზრდის და უარყოფითი გარემოსდაცვითი ზეგავლენის შეცირების ხელშეწყობა, ასევე ენერგო ეფექტურობის ასოცირების ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებების და საქართველოს საკანონმდებლო რეგულაციების გაცნობა არის მნიშვნელოვანი როგორც მოსწავლეებისთვის, ასევე სამოქალაქო საზოგადოებისთვის. სწორედ ამ მიზნით,



პროექტი ითვალისწინებს როგორც ეკოკლუბების გაძლიერებას, ტრენინგებს, ასევე მათ ფორმირებას; ჩატარდება ვიქტორინა-კონკურსები სკოლებს შორის, სადაც გამარჯვებულ მოსწავლეებს გადაეცემა სერსორული განათებები, ხოლო ზემოაღნიშნული სკოლების საჯარო სივრცეებში მოეწყობა პორტატული ელე-

ქტრო სატენები შპის ბატარეებზე – აღნიშნა პროექტის, ასევე ეკოკლუბის ხელმძღვანელმა ჩოხატაურში, **ნათია სუცურაულმა**.

„ვეფიქრობთ, პროექტის ფარგლებში ჩატარებული ღონისძიებები ხელს შეუწყობს ეკოლოგიური კატასტროფების რისკების შემცირებას და შემდგომში ენერგორესურსების რაციონალურად გამოყენებას“ – განაცხადა პროექტის ხელმძღვანელმა **თამარ კუპრაძემ**.

პროექტი ხორციელდება ევროკავშირისა და fW-ის ფინანსური მხარდაჭერით „საქართველოს ენერგეტიკული სექტორის რეფორმის პროგრამის“ ფარგლებში. პროგრამას 2021 წლიდან ასორციელებს საერთაშორისო კონსორციუმი, ინტეც, PA-International Energy Consultants GmbH ხელმძღვანელობით. რეგიონალური ენერგო ეფექტურობის კამპანიის განმახორციელებელია შპს „მეს“.

დავინანსებული ფართი



ვჟლოცავთ — ბრჭო თოდტაბე 92 წლისაა

დამადგმიდან 92 წელი შეიქსტულდა თაბისის საყბო-სამეცნიერთ აკადემიის ვიცე-პრეზიდენტს, აკადემიის გუბიის ღბგანიზაციის თაგმჯდომბარქს, გუბიის ჯდღმბრტცს ბრჭო თოდტაბეს. (19 თებერვალი) გაგჟო „ალიონის“ ბრდტცია ჟღმცაგს მაცდღნ ბრჭოს ამ თაბრტს!



ჭამა-ქშხილი
+9+18

31 მარტი
ორშაბათი



მჟმ, ღრუბალი
+13+25

1 აპრილი
სამშაბათი



მჟმ, ღრუბალი
+9+22

2 აპრილი
ოთხშაბათი



წვიმა
+7+14

3 აპრილი
ხუთშაბათი



წვიმა
+6+10

4 აპრილი
პარაკვევი



მჟმ,
+11+17

5 აპრილი
შაბათი



მჟმ,
+10+18

6 აპრილი
კვირა